ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის, მოიპოვებს თავისუფლებას!

# საქართველოს თავისუფლება

თავისუფალი გამოცემა

მაისი 1990 წელი №22

ეროვნული ბიბლიოთეკა



**თანამემამულენო! საბჭოთა კავშირის მოქალაქეობის უარყოფის კამპანია მთელს საქართველოს გადაწვდა!**

**1990 წლის 11 მაისისათვის თავისი ნება — იყოს თავისუფალი — გამოხატა 63 247 მა პატრიოტმა!**

**საქართველოს შვილები მოითხოვენ საქართველოს მოქალაქეობას!**

**გაუმარჯოს თავისუფლებისათვის ბრძოლის უძლეველ იარაღს — საქართველოს კონსტიტუციას!**

**გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!**

## ნომერშია:

პირველი გვერდი
საქართველოს მოქალაქეთა ლიგის მოწოდებები.
საქართველოს მოქალაქეთა ლიგის პროკლამაცია.
საქართველოს მოქალაქეთა ლიგის დამფუძნებელი კომიტეტის მანიფესტი.
გვერდი მეორე
როგორ აღვიდგინოთ სამართალსუბიექტობა. / ვაჟა მთავრიშვილი/
გვერდი მესამე
გვერდი მეოთხე
საქართველოს კონსტიტუცია. 1920 წლის პროექტი.
გვერდი მეხუთე
როგორ აღვიდგინოთ სამართალსუბიექტობა /დასასრული.
საქართველოს მოქალაქეთა ლიგის დამფუძნებელი კომიტეტის დეკლარაცია.
საქართველოს მოქალაქეთა ლიგის დამფუძნებელი კომიტეტის მიმართვა გაეროს გენერალურ მდივანს ბატონ ჰავიერ პერეს დეკუელიერს.
საქართველოს მოქალაქეთა ლიგის დამფუძნებელი კომიტეტის მიმართვა გორბაჩოვს.
საქართველოს მოქალაქეთა ლიგის წარდგინება საქართველოს სსრ სამხედრო კომისარს.
გვერდი მეექვსე
მოგვტაცეს კონსტიტუცია
კონსტიტუციის დამთავრება.
საქართველოს კონსტიტუცია.
მოიძებნა!
ერს კონსტიტუცია გააერთიანებს.
სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.
დავფიქრდეთ...

საქართველოს მოქალაქეთა ლიგის მოწოდება საქართველოს ხალხისადმი

## მამულიშვილნო!

საქართველო დაპყრობილია. საბჭოთა კავშირი, ანუ იგივე რუსეთის კომუნისტური იმპერია გვევლინება საქართველოს აგრესორ სახელმწიფოდ. საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების განლაგება, სამხედრო მანევრები, ან საომარი მოქმედება განხილულ უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ აგრესიად. საქართველოს მიმართ რუსეთის 70-წლიანი აგრესიის ერთ-ერთი გამოვლინება იყო 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი დარბევაც.

აგრესია ითვლება უმძიმეს დანაშაულად, მაგრამ საერთაშორისო სამართალი საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ აგრესიაზე არ რეაგირებს, რადგან დამპყრობელმა საქართველოს ხალხს ტერორითა და მოტყუებით წლების განმავლობაში თავს მოახვია ერთიანი საბჭოთა მოქალაქეობა, საბჭოთა კონსტიტუცია, საბჭოური არჩევნები და ადგილობრივი მარიონეტული "მთავრობა". საქართველო აგრესიის ობიექტის ნაცვლად წარმოჩინდა რუსეთის შემადგენლობაში მყოფ მოკავშირე არადამოუკიდებელ რეგიონად. საქართველო განსაკუთრებით მწვავედ იქნა მოტყუებული ერთიანი საბჭოთა მოქალაქეობის ნებაყოფლობითი მიღებით, რადგან ამით ქართველმა ერმა საბოლოოდ დაკარგა სამართალსუბიექტობა, რის გარეშეც შეუძლებელია საერთაშორისო სამართლის წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობისა და საქართველოში რუსეთის აგრესიის აღკვეთის საკითხების დასმა.

საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტებად სახელმწიფოები ითვლება. აგრესიისა და ოკუპაციის პირობებში საქართველო ვერ აღიდგენს სახელმწიფოებრიობას, მაგრამ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად შეიძლება წარმოჩინდეს საქართველოს ხალხიც, თუ აღდგენილ იქნება საქართველოს მოქალაქეობა, ამიტომ ამა წლის 23 თებერვალს დავიწყეთ სსრ კავშირის მოქალაქეობის უარყოფისა და საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მასობრივი კამპანია. შეიქმნა საქართველოს მოქალაქეთა ლიგა. სსრ კავშირის მოქალაქეობა უკვე უარყო მრავალმა ათეულმა ათასმა კაცმა. საქართველოს მოქალაქეთა ლიგის წევრობა შეუძლია ყველას, მიუხედავად პარტიულობისა, ვინც უარს განაცხადებს სსრ კავშირის მოქალაქეობაზე, მოითხოვს საქართველოს მოქალაქეობას და აღიარებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას.

საქართველოს მოქალაქეთა ლიგა მოგიწოდებთ:

1. უზენაეს კანონად აღიაროთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, როგორც საქართველოს ხალხის უზენაესი და თავისუფალი ნების უკანასკნელი გამოვლინება. სამოქალაქო ურჩობა გამოუცხადოთ ყველა კანონს, რომელიც გამოცემულია 1921 წლის 21 თებერვლის შემდგომ და ეწინააღმდეგება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას. აღნიშნული კონსტიტუციის 165-ე მუხლის თანახმად ამ კონსტიტუციის გადასინჯვა, ან გაუქმება შეეძლო მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტს ორი მესამედის უპირატესობით, რაც ძალაში შედიოდა მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო პლებისციტით დამტკიცების შემდეგ. სინამდვილეში ეს არ მომხდარა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია დღესაც ძალაშია.

2. უარყოთ სსრ კავშირის მოქალაქეობა, უარი განაცხადოთ სსრ კავშირის ქვეშევრდომობაზე, მოითხოვოთ საქართველოს მოქალაქეობა და საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტში შექმნათ საქართველოს მოქალაქეთა ლიგის რეგიონალური კომიტეტების საინიციატივო ჯგუფები. ამ კომიტეტების დასაფუძნებლად დაუკავშირდით საქართველოს მოქალაქეთა ლიგას თბილისში.

3. უარი განაცხადოთ საბჭოთა საოკუპაციო ჯარში სამსახურზე.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! ღმერთი არს ჩვენთან!

საქართველოს მოქალაქეთა ლიგის მისამართია: თბილისი 380 007 დადიანის ქუჩა № 4. ტელეფონები: 98-31-70; 98-31-65; 98-31-68.

საქართველოს მოქალაქეთა ლიგის საინფორმაციო მიტინგები გაიმართება ყოველ შაბათს საღამოს 6 საათზე, თბილისში მთავრობის სახლის წინ, ან ლენინის მოედანზე.

საქართველოს მოქალაქეთა ლიგის დამფუძნებელი კომიტეტის

## მანიფესტი

### კარი პირველი
### საქართველოს სამართალსუბიექტობა

ვინაიდან საერთაშორისო სამართალში ძირითად სამართალსუბიექტად ითვლება სახელმწიფო;

ვინაიდან საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებული ქართველი ერის უკანასკნელი, დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო;

ვინაიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე ფაქტოდ და დე იურედ ცნეს, როგორც მსოფლიოს უმთავრესმა სახელმწიფოებმა, ასევე ერთა ლიგამ;

ვინაიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამპყრობელმა სამხედრო ძალით გააუქმა ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ;

ვინაიდან 1921 წლის 25 თებერვლის შემდგომ აგრესიის ქვეშ მყოფ ქართველ ერს არ მისცემია ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საშუალება, ხოლო ე. წ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ვერ გახდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი;

საერთაშორისო სამართლის წინაშე საქართველოს დამოუკ[illegible] დებლობის საკითხი დაყენებულ უნდა იქნას საქართველ[illegible] დემოკრატიული რესპუბლიკის საბაზისო სამართალსუბიექტობ[illegible] ზე დაყრდნობით.

### კარი მეორე
### საქართველოს უზენაესი კანონი

ვინაიდან საქართველოს ხალხმა სამწლიანი განსჯის შ[illegible] მდეგ 1921 წლის 21 თებერვალს სრული დემოკრატიის პირობ[illegible] ბში მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონ[illegible] ტიტუცია, როგორც საქართველოს კანონიერი მთავრობის და ს[illegible] ქართველოს ხალხის თავისუფალი ნების უზენაესი გამოვლინ[illegible] ბა;

ვინაიდან აგრესიის შედეგად საქართველოს ხალხს 19[illegible] წლის შემდეგ აღარ მისცემია თავისუფალი ნების გამოხატ[illegible] და ახალი დამოუკიდებელი კონსტიტუციის შექმნის საშუალ[illegible]

ვინაიდან ე. წ. საქართველოს სსრ კონსტიტუცია, გამ[illegible] დინარეობს დამპყრობლის კონსტიტუციიდან, კოლაბორაციო[illegible] სტულია, ვერ ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს კონს[illegible] ტუციად და ეწინააღმდეგება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას;

ვინაიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 165-ე მუხლის თანახმად ამ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა შეეძლო მხოლოდ პარლამენტს, ხმების ორი მესამედის უპირატესობით და მთელი ხალხის დადასტურებით. საქართველოში კი ამ საკითხთან დაკავშირებით არ მოწყობილა რეფერენდუმი ან პლებისციტი;

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია იურიდიულად დღესაც ძალმოსილია საქართველოს მოქალაქეებისათვის. ყველა კანონი, რომელიც აგრესორმა 1921 წლის თებერვლის შემდგომ თავს მოახვია საქართველოს ხალხს და ეწინააღმდეგება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას, ძალადობაა. ყველა ასეთი კანონი თავისთავად ბათილია საქართთველოს მოქალაქეებისათვის; ხოლო ის, ვინც აღიარებს და ემორჩილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საწინააღმდეგო კანონმდებლობას საქართველოს სსრ კონსტიტუციის ჩათვლით, ჰკარგავს საქართველოს მოქალაქეობას.

### კარი მესამე
### საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა

ვინაიდან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით რუსეთმაც /რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ/ ცნო საქართველოს /საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის/ დამოუკიდებლობა, მაგრამ ომის გამოუცხადებლად სამხედრო ძალით შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე;

ვინაიდან 1921 წლის თებერვალ-მარტში მიმდინარეობდა პირდაპირი საბრძოლო მოქმედება საქართველოს და რუსეთის რეგულარულ ჯარებს შორის;

ვინაიდან ეს ომი მიმდინარეობდა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს არმიას არ გადაულახავს რუსეთის სახელმწიფო საზღვრები;

ვინაიდან რუსეთის არმია დაპყრობით ომს აწარმოებდა როგორც საქართველოს ჯარის, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, ხოლო საქართველოს ხალხის და საქართველოს არმიის საომარი მოქმედება წითელ არმიასთან გამოწვეული იყო თავდაცვის აუცილებლობით;

1921 წლის თებერვალ-მარტის საომარი მოქმედებები საქართველოში უნდა შეფასდეს რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ წარმოებულ აგრესიად.

ვინაიდან საერთაშორისო სამართლით აგრესიის შემდგომი ოკუპაცია და ანექსიაც ითვლება აგრესიად, რუსეთის მიერ 1921 წლის შემდგომი საქართველოს ანექსია და ოკუპაციაც უნდა ჩაითვალოს აგრესიად. ასევე აგრესიის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს საქართველოში რუსეთის ჯარების დღევანდელ ყოფნას, სამხედრო მანევრებს და საომარ მოქმედებებს.

### კარი მეოთხე
### სსრ კავშირი რუსეთის მოდერნიზებული იმპერია

ვინაიდან რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ მიმართა აგრესიას საქართველოსა და სხვა სუვერენულ ერთა წინააღმდეგ, რის შემდეგაც აგრესიის ფაქტის დაფარვის მიზნით შექმნა ეგრეთ წოდებული სსრ კავშირი;

ვინაიდან სსრ კავშირი შეიქმნა რუსეთის იმპერიის საზღვრებში;

ვინაიდან სსრ კავშირის დედაქალაქი მოსკოვი რუსეთის დედაქალაქიცაა;

ვინაიდან სსრ კავშირში სახელმწიფო ენა რუსულია;

ვინაიდან რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა სამხედრო გადატრიალებით და უცხო სახელმწიფოთა რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევის გარეშე, ხოლო რუსეთის კოლონიებში საბჭოთა ხელისუფლება დამყარებულ იქნა რუსეთის სამხედრო ძალის ჩარევით;

ვინაიდან "მოკავშირე" რესპუბლიკებს არ დაუძალებიათ რუსეთისათვის სსრ კავშირში შესვლა, რუსეთმა კი ძალდატანებით შეიყვანა "მოკავშირე" რესპუბლიკები სსრ კავშირის შემადგენლობაში;

ვინაიდან სსრ კავშირი წარმოადგენს არა თავისუფალი რესპუბლიკების კავშირს, არამედ ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოს, რომელშიც ვანუწყვეტლივ მიმდინარეობს რუსიფიკაცია;

ვინაიდან სსრ კავშირის ცენტრალური ხელისუფლება და მისი ადგილობრივი ფილიალები "მოკავშირე" რესპუბლიკებში აგრძელებენ რუსეთის იმპერიის კოლონიურ პოლიტიკას;

სსრ კავშირი უნდა ჩაითვალოს რუსეთის იმპერიის ანგარიშმონაცვლე სახელმწიფოდ. სსრ კავშირის მთავრობას და მის მოქალაქეებს უნდა დაეკისროთ საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობა იმ აგრესიისათვის, რომელიც რუსეთმა განახორციელა დაპყრობილ ერთა წინააღმდეგ და რომელსაც სსრ კავშირი აგრძელებს, ეგრეთ წოდებული, მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ.

### კარი მეხუთე
### საქართველოს საბჭოთა მთავრობა

ვინაიდან საქართველოს კანონიერმა მთავრობამ 1921 წლის 21 თებერვლის დამფუძნებელი კრების დადგენილებით საქართველოს ხალხის მოღალატეებად გამოაცხადა შულავერში შექმნილი, ეგრეთ წოდებული, საქართველოს საბჭოთა მთავრობა, რომელიც დამპყრობელს წინ მიუძღოდა საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ომში;

ვინაიდან საქართველოს საბჭოთა მთავრობა არასოდეს აურჩევიათ საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული წესით და ეს მთავრობა ხელისუფლების სათავეში მოექცა აგრესორის სამხედრო ძალაზე დაყრდნობით;

ვინაიდან საქართველოს საბჭოთა მთავრობამ დამპყრობლის სამხედრო ძალით რუსეთის სასარგებლოდ დაამხო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა;

ვინაიდან საქართველოს საბჭოთა მთავრობა ახლაც ემყარება არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრულ თავისუფალ არჩევნებს, არამედ დამპყრობლის სამხედრო ძალას და ოკუპაციის პირობებში ჩატარებულ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის საწინააღმდეგო არჩევნებს;

ვინაიდან საქართველოს საბჭოთა მთავრობა გამოხატავს არა ქართველი ხალხის ნებას, არამედ მისი ძირითადი ფუნქცია საქართველოს მოსახლეობის რუსეთისადმი უსიტყვო მორჩილებაში მოყვანაა;

ვინაიდან საქართველოს საბჭოთა მთავრობამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ რუსეთთან დადო სეპარატული ხელშეკრულება საქართველოს სსრ კავშირში შესვლის შესახებ და კვლავაც მიზნად აქვს დასახული ახალი სეპარატული ხელშეკრულებების დადება.

საქართველოს საბჭოთა მთავრობას შეიძლება მიეცეს მხოლოდ ადგილობრივი საოკუპაციო რეჟიმის სტატუსი და ის საერთაშორისო სამართლის წინაშე ვერ წარმოჩინდება, როგორც ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველი იურიდიული პირი.

### კარი მეექვსე
### საქართველოს იურიდიული პირი

საქართველოს მთავრობა ან არასამთავრობო წარმომადგენლობა, რომელიც არ ცნობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას და არ მოქმედებს ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ვერ ჩაითვლება საქართველოს იურიდიულ პირად.

საქართველოს სამთავრობო ან არასამთავრობო წარმომადგენლობა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხებს საერთაშორისო სამართლის წინაშე დააყენებს რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ წარმოებული 69 წლიანი აგრესიის ფაქტის გათვალისწინების გარეშე, ან მიჩქმალავს ამ აგრესიიდან გამომდინარე საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობას, მიჩნეულ უნდა იქნას კოლაბორაციონისტად.

### კარი მეშვიდე
### საქართველოს მოქალაქეობა

ვინაიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია ერთდროულად იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე და მით უმეტეს, საქართველოს დამპყრობელი ქვეყნის მოქალაქე;

ვინაიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად საქართველოს მოქალაქეობა ერთმევათ იმ პირებს, რომლებიც შედიან უცხო ქვეყნის სამხედრო, ან სამოქალაქო სამსახურში;

ვინაიდან იმ ქართველისათვის, ვინც მიიღო სსრ კავშირის მოქალაქეობა, სამშობლოა სსრ კავშირი და არა საქართველო;

ვინაიდან სსრ კავშირის მოქალაქეობის მიღებით ქართულმა მოსახლეობამ დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა და შესაბამისად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიულ-პოლიტიკური მემკვიდრეობის უფლება;

საქართველოს მოქალაქეთა ლიგა თავს უფლებას აძლევს, საქართველოს ხალხს მოუწოდოს სსრ კავშირის მოქალაქეობის უარყოფისაკენ.

საქართველოს მოქალაქეთა ლიგა თავს უფლებას აძლევს საქართველოს დემოკრატიული კონსტიტუციის შესაბამისად აღადგინოს საქართველოს მოქალაქეობა, დაბეჭდოს საქართველოს მოქალაქეთა პასპორტები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, განმცხადებლებზე გასცეს ეს პასპორტები.

საქართველოს მოქალაქეთა ლიგა, ამასთანავე, ამ პასპორტებისათვის საერთაშორისო ლეგალიზაციის მიცემის საკითხს დააყენებს იმ სახელმწიფოთა წინაშე, რომლებმაც თავის დროზე ცნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა მთავრიშვილი

# როგორ აღვიდგინოთ სამართალსუბიექტობა

კაცობრიობის ისტორიაში უდიდესმა პოლიტიკურმა ავანტიურისტმა-ვლადიმერ ულიანოვმა [illegible] ბოლშევიზმის სახით [illegible] 1921 წელს რუსეთის სსრ-ის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აგრესია; აგრესიის შემდგომ ოკუპაცია და ანექსია. ყოველივე ეს წარმოადგენს უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულს, რომელიც უყურადღებოდ არ უნდა დაეტოვებინა საერთაშორისო სამართალს, მაგრამ ეს სამართალი დუმს; ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს საერთაშორისო სამართალი, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს, თითქოს ჩვენი უბედურება არავის არ აინტერესებს. ერთადერთი სერიოზული განცხადება, რომელმაც მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, იყო ამერიკის შეერთებული შტატების სენატის 1989 წლის 19 აპრილის №110 რეზოლუცია.

9 აპრილმა ერთგვარი მწვავე რეზონანსი გამოილო დასავლეთში. 9 აპრილს მოჰყვა ბაქოს ტრაგედია, რომელიც თავისი არსით უფრო მასშტაბური და სისხლიანი იყო, მაგრამ საერთაშორისო სამართალმა არამც თუ არ დაგმო ბაქოს ამბები, არამედ ერთგვარი მხარდაჭერაც კი მისცა გორბაჩოვს. მიწასთან გასწორებული ბაქოელი არაფორმალები ჯერ კარგად ვერ გარკვეულან, რა მოხდა და ისევ სომხებს აბრალებენ ამ ამბავს—"დასავლეთში ძლიერი სომხური ემიგრაციაა, რომელმაც მსოფლიო აზერბაიჯანელების წინააღმდეგ განაწყო"—ო.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ აზერბაიჯანელი არაფორმალების მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს მათ მიმართ საერთაშორისო სამართლის უარყოფით განწყობილებას სომხური ემიგრაცია ქმნიდეს. 9 აპრილს, თბილისში მრავალი პროვოკაციის მიუხედავად, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოახერხა გამოსვლისათვის მიეცა მშვიდობიანი და მხოლოდ განმათავისუფლებელი აქციის მიმართულება. ბაქოში კი მსოფლიოს თვალთახედვით მოხდა რუსული სახელმწიფოს მოქალაქეთა ორ ეთნიურ ჯგუფს შორის შეჯახება და საბჭოთა ხელისუფლებამ არმიის საშუალებით ეს კონფლიქტი ჩააცხრო.

ბაქოსა და თბილისის ტრაგედიების შედარება ჩვენ ნათლად გვაჩვენებს, რომ აზერბაიჯანის პოლიტიკური მოძრაობა თავისი პოზიციით გაცილებით უფრო სუსტი და პროვოკაციებისათვის მოწყვლადი აღმოჩნდა. ასე რომ, საერთაშორისო სამართლის უმოქმედობის მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ არა ამ სამართლის უუნარობაში არამედ საკუთარ თავს უნდა დავუსვათ შემდეგი კითხვები:

"ვართ თუ არა საკმარისად კომპეტენტურნი საკითხების დასამაში?"

"ვართ თუ არა უფლებამოსილნი ამ საკითხების დაყენებისას;"

"მოგვყავს თუ არა საკმარისად მყარი არგუმენტები და არის თუ არა ჩვენი პოზიცია ამომწურავად მართალი საერთაშორისო სამართლისათვის?"

მცდარია აზრი იმის შესახებ, [illegible] მარქსი და ენგელსი ჯერ კიდევ კომუნისტური პარტიის მანიფესტში აცხადებდნენ, რომ პროლეტარებს არ აქვთ სამშობლო. ეს დემაგოგია ბოლშევიზმმა კიდევ უფრო განავრცო და კაცობრიობა დაჰყო მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ კლასებად, თითქმის სავსებით უგულებელყო საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტები: ისტორიული ერები და მათი ეროვნული სახელმწიფოებრიობა.

ბოლშევიკები მიზნად ისახავდნენ მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას, ე.ი. უნდოდათ შეექმნათ ერთიანი მსოფლიო სოციალისტური სახელმწიფო, რომლის დედაქალაქიც მოსკოვი იქნებოდა. ამ "იმპერიულ ბოდვას" ასრულება არ ეწერა, მაგრამ მათ მოახერხეს დედამიწის მნიშვნელოვანი ნაწილის დაპყრობა. მიზანი ერების დამონება იყო, საბაბი კი ამ ქვეყნებში უბადრუკი პროლეტარების საზიზღარი ბურჟუებისაგან განთავისუფლება. საქართველოშიც ამ საბაბით შემოიჭრა 1921 წელს საბჭოთა რუსეთის არმია. იხ. საქართველოში საბჭოთა ჯარების შემოჭრის რუქა, რომელშიც ცინიკურად სწერია, რომ წითელი არმია საქართველოში აჯანყებული მუშების დასახმარებლად შემოვიდა. /ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, დამატებითი ტომი გვ.82/.




მოგვიანებით, ემიგრაციაში მყოფი ნ.ჟორდანია თავის წერილში მიმართავდა ტროცკის, რუსებმა პროლეტარები ბურჟუებისაგან მხოლოდ საკუთარ სახელმწიფოში უნდა გაანთავისუფლონ, ხოლო სხვა სუვერენულ სახელმწიფოში სამხედრო ძალით შეჭრა აგრესიააო. ჟორდანია სწორედ აგრესიაში სდებს ბრალს საბჭოთა რუსეთს და მართალიც არის. ტროცკის საპასუხო არგუმენტები უწყეო და სასაცილოა, მაგრამ პოლიტიკა, რომელსაც მაშინ ერთა დაპყრობისას საბჭოთა რუსეთი ანხორციელებდა, ზედმიწევნით კარგად იყო გაანგარიშებული. ლენინმა მშვენივრად იცოდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარებისა და ერთა ლიგის მიერ საქართველოს ცნობის შემდეგ, აქ სამხედრო ძალით შემოიჭრა საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობის გამომწვევი მართლსაწინააღმდეგო აქტი იქნებოდა, მაგრამ ლენინი არ მოელოდა საერთაშორისო სამართლის დარღვევას, რადგან იცოდა, რომ საქართველოს დასაცავად რუსეთის ჯარს არ დაუპირისპირდებოდნენ დასავლეთის ქვეყნები. საქმე ის არის, რომ მაშინ საერთაშორისო სამართალი ნაკლებად ქმედითი იყო. იმ დროს აგრესია ჩვეულებრივ საქმედ ითვლებოდა თითქმის ყველა ქვეყნისათვის. ერთა ლიგამ კი ცნო საქართველო დე ფაქტოდ და დე იურედ, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში მიღება ჭიანურდებოდა. ერთა ლიგის წესდების მე-10 მუხლის თანახმად, ერთა ლიგაში შემავალი ქვეყნები ვალდებულნი იყვნენ აგრესიის შემთხვევაში დაეცვათ თავიანთი თანაწევრი სახელმწიფო. საქართველოს ერთა ლიგაში შესვლას ხელი იმან შეუშალა, რომ ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ იკისრა საქართველოს დაცვა საბჭოთა რუსეთის მოსალოდნელი თავდასხმისაგან.

მართალია, იმ დროს საერთაშორისო სამართალმა არ დაიცვა საქართველო რუსეთის აგრესიისაგან, მაგრამ საბჭოთა რუსეთი შეირაცხა არასამართლებრივ სახელმწიფოდ და მას არ ცნობდნენ მსოფლიოს უმთავრესი სახელმწიფოები. ამიტომაც დაიწყო რუსეთის კოლონიებში მოჩვენებითი, თითქოსდა დემოკრატიული არჩევნები, ადგილობრივი მარიონეტული მთავრობების შექმნა. 1922 წლის 30 დეკემბერს ასეთმა მარიონეტულმა მთავრობამ საქართველო სეპარატული ხელშეკრულებით შეიყვანა სსრ კავშირის შემადგენლობაში. მოგვიანებით დაიდო კიდევ რამდენიმე მსგავსი ხელშეკრულება. კოლონიებში ტერორის ქვეშ მყოფი მოსახლეობა თანდათან შეეგუა დამოუკიდებლობის დაკარგვას. ხალხი მონაწილეობდა არჩევნებში. დროთა განმავლობაში სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს დასავლეთის სახელმწიფოებმა: 1924 წელს-დიდმა ბრიტანეთმა, 1933 წელს-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ბოლოს სსრ კავშირი ერთა ლიგაშიც კი იქნა მიღებული, თუმცა 1939 წელს ფინეთზე თავდასხმისათვის სსრ კავშირი, როგორც აგრესორი, გარიცხეს ამ ორგანიზაციიდან.

საბჭოთა კავშირის სამართლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ დროს ერთა ლიგა უკვე დაშლილი იყო და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებული ქვეყნების ინიციატივით შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. სსრ კავშირი, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ გახდნენ გაეროს წევრები. ამასთან ერთად სსრ კავშირი შევიდა გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლებით. ე.ი. ნებისმიერი საკითხი, რომელსაც სსრ კავშირი ვეტოს დაადებს, აღარ განიხილება გაეროს მიერ, რადგან იქ მშვიდობიანობის გარანტად ითვლება მსოფლიოს რამდენიმე უძლიერესი სახელმწიფო, რომლებიც ერთხმიანობის პრინციპით წყვეტენ საკითხებს. ეს გარემოება საქართველოში ხშირად იწვევს გაუგებრობას და ზოგიერთნი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიიჩნევენ პროსაბჭოურ ორგანიზაციად. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის, მაგრამ გაერო არსებითად ვერ ჩაერევა მის წევრ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში და განსაკუთრებით გაუჭირდება მას იმ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა, რომლებიც უშიშროების საბჭოში სარგებლობენ ვეტოს უფლებით. ამიტომ პირდაპირი იმედების დამყარება გაეროზე, რომ ის აღკვეთს საქართველოში რუსეთის აგრესიას, უსაფუძვლოა. ასევე არ შეიძლება პირდაპირი ჩარევის იმედი გვქონდეს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მიმართ. ეს სასამართლო საკითხებს განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩლე და მოპასუხეც თანახმაა. ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო სამართალი უმოქმედოა და ვერ აღკვეთს მართლსაწინააღმდეგო აქტებს. სსრ კავშირი უშიშროების საბჭოში შევიდა არა მარტო სამხედრო სიძლიერის გამო. იგი საერთაშორისო სარბიელზე სარგებლობს მნიშვნელოვანი ავტორიტეტით, სსრ კავშირმა მრავალჯერ გაითამაშა "მშვიდობის მტრედის" როლი; აქტიურად მონაწილეობდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების დეკოლონიზაციაში. სსრ კავშირმა გაეროში შეიტანა არაერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი დეკოლონიზაციის საკითხებთან დაკავშირებით. თუ კი პირდაპირ და მყარად დაისმება საკითხი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი აგრესორია, ყველა მისგან შემოთავაზებული ან ხელმოწერილი კანონი მას ბუმერანგივით შემოუტრიალდება. ისეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოსათვის, როგორც სსრ კავშირია, საერთაშორისო ავტორიტეტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის აუცილებლად არჩევს ნებისმიერი კოლონიის დათმობას, რათა შეინარჩუნოს საერთაშორისო ავტორიტეტი. სსრ კავშირისათვის საერთაშორისო სარბიელზე აგრესორად და მართლსაწინააღმდეგო სახელმწიფოდ წარმოჩენა განადგურების ტოლფასია. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად დაისმება არა მარტო უშიშროების საბჭოდან მისი გაყვანის საკითხი, არამედ შეიძლება საერთოდ გაირიცხოს კიდეც გაეროდან. სსრ კავშირი მოექცევა მსოფლიოს ძირითადი სახელმწიფოების ეკონომიურ და პოლიტიკურ იზოლაციაში. მართალია, სსრ კავშირის კისერზე მრავალი დანაშაული დევს, მაგრამ ეს ქვეყანა თავისი მოხერხებული პოლიტიკით თავიდან ირიდებს საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობას. არც მეტი, არც ნაკლები, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა აშშ, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გაანთავისუფლეს ევროპის არა ერთი სახელმწიფო ფაშისტური გერმანიისაგან, სსრ კავშირმა მოახდინა მთელი აღმოსავლეთ ევროპის ოკუპაცია. ამ შემთხვევაში სსრ კავშირი არ აღმოჩნდა საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობის ქვეშ. საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მიეცათ ნომინალური სუვერენიტეტი. იქ ხელისუფლების სათავეში მოექცნენ კრემლის მარიონეტი ადგილობრივი კომუნისტები, მაგრამ მათი ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის მიერ შეწყნარებული და მიღებული იყო. დღესაც კი, როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები თავისუფლების გზას დაადგნენ, ჯერ არავინ არ აცხადებს ვარშავის ხელშეკრულებიდან გასვლას. ბოლშევიკებმა მიწასთან გაასწორეს ევროპის ისეთი დიდი ერების ეროვნული თვითშეგნება, როგორც გერმანია, პოლონეთი ან ჩეხოსლოვაკიაა. მათი მოსახლეობის უმრავლესობა სოციალიზმისადმი დადებითად არის განწყობილი. ისინი გორბაჩოვს მხსნელად მიიჩნევენ.

როგორც ჩანს, ბოლშევიკური სახელმწიფოს ტოტალური სნეხი უმოწყალოდ ანადგურებს დაკაბალებული ერების პოლიტიკურ თვითშეგნებას. ჩვეულებრივად მთელი ერი უკმაყოფილოა არსებული ვითარებით, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ იბრძოლონ თავისუფლებისათვის, სახალხო გამოსვლები სხვა ნებისმიერი მხრით არის მიმართული.

რუსეთის კომუნისტური იმპერიის კლანჭებიდან განთავისუფლება მხოლოდ განსაკუთრებული გმირული შემართების მქონე მებრძოლ ერს შეუძლია. მართალია, იმპერია ეკონომიურად განადგურების პირასაა მისული, მაგრამ მისი კაბალიდან განთავისუფლებისათვის, აუცილებელია იმ ჯოჯოხეთური ნასკვის გამოხსნა, რომელიც ლენინმა შეკრა. კერძოდ, საქართველოს დაპყრობის ფაქტი აშკარაა, როგორც აღვნიშნეთ, აგრესიაა და ამ აგრესიის შემდგომი ოკუპაცია- ანექსიაც აგრესიად ითვლება. აგრესია კი უდაოდ საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობის გამომწვევი აქტია. აგრესიის ობიექტი საქართველოა; აგრესიის სუბიექტად კი რუსეთი გვევლინება, მაგრამ ლენინმა და მისმა მემკვიდრეებმა წინასწარ გაითვალეს ყოველივე და საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, მიმართეს სახელმწიფო სუბიექტების ფალსიფიკაციას.

რუსეთი, როგორც სახელმწიფო, დღეს საერთოდ აღარ ფიგურირებს საერთაშორისო სამართალში. შემთხვევითი როდია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეყვანილი არიან ბელორუსიის სსრ და უკრაინის სსრ, მაგრამ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც ორჯერ აღემატება ერთად აღებულ ბელორუსიასა და უკრაინას, როგორც ტერიტორიით, ასევე მოსახლეობითაც არ შედის გაეროში. რსფსრ თითქოს წარმოადგენს ისეთივე არასუვერენულ წარმონაქმნს, როგორც საქართველოს სსრ-ა. ამგვარად, გამოდის, რომ თითქოს აღარ არსებობს ის სუბიექტი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს საქართველოს მიმართ ჩადენილ საერთაშორისო სამართლის დანაშაულზე. თუმცა, თუ ამ საკითხს მეტი დაჟინებით გავაანალიზებთ, რუსეთისათვის მაინც შეიძლება ბრალის დადება. საქმე ის არის, რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებია არა მარტო სახელმწიფოები, არამედ ისტორიული ერები, ნაციები, რომლებმაც თავიანთი ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე შეიძლება სხვადასხვა სახელმწიფოები შექმნან. ეს სახელმწიფოები კი ერთმანეთის მემკვიდრე და ანგარიშმონაცვლენი არიან. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც გერმანია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც ერთ- ერთი ყველაზე დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა, მრავალი წლის განმავლობაში იხდიდა რეპარაციებს იმ აგრესიისათვის, რომელიც თავის დროზე ჩაიდინა ჰიტლერულმა გერმანიამ. ასევე რსფსრ- თავის თავზე აიღო ირანისათვის იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც ამ უკანასკნელს მიაყენა მეფის რუსეთმა. სსრ კავშირი რუსული სახელმწიფოებრიობის თანამედროვე გამოვლინებაა, ამგვარად, იგი ანგარიშმონაცვლე და მემკვიდრეა ყველა იმ ბოროტებისა, რაც რუსეთს საქართველოსათვის მიუყენებია.

ახლა დასადგენი დაგვრჩა საერთაშორისო სამართლის დაზარალებული სუბიექტი საქართველო, რომლის მიმართაც უნდა აღიკვეთოს რუსეთის აგრესია, როგორც საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობის გამომწვევი მართლსაწინააღმდეგო აქტი, რომელსაც უნდა გადაეხადოს რეპარაციები 70 წლიანი აგრესიისათვის.

სამწუხაროდ, საქართველოს სამართალსუბიექტობის საკითხი გაცილებით უფრო უიმედო ჩანს. საქმე ის არის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც გააჩნდა კონკრეტული ტერიტორია საკუთარი მოქალაქეები და, რომლის ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა მხოლოდ საქართველოს სუვერენიტეტი, იყო უცილობელი სამართალსუბიექტი. მას დე ფაქტოდ და დე იურედ ცნობდა საერთაშორისო სამართალი, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ დამპყრობელმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოს და ქართველ ერს დაეკარგა სამართალსუბიექტობა.

ეგრეთ წოდებული, საქართველოს სსრ წარმოადგენს არასუვერენულ გეოგრაფიულ რეგიონს რუსულ სახელმწიფოში /სსრ კავშირი/. საქართველოს სსრ - ჩამორთმეული აქვს დამოუკიდებელი საგარეო ურთიერთობის უფლება. მისი ტერიტორია ნომინალურია და მის ტერიტორიაზე ვრცელდება მხოლოდ რუსეთის /სსრ კავშირის/სუვერენიტეტი. საქართველოს სსრ-ს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს დე ფაქტოდ და დე იურედ არ ცნობს მსოფლიოს არც ერთი სახელმწიფო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესული არიან საქართველოზე გაცილებით უფრო მცირერიცხოვანი მოსახლეობისა და ტერიტორიის მქონე მრავალი სუვერენული სახელმწიფოები, მაგრამ საქართველოს სსრ -ს ეს პატივი არ ღირსებია. ერთი სიტყვით, დღევანდელი საქართველო, როგორც სახელმწიფო, სანამ იგი არ მოიპოვებს რეალურ სუვერენიტეტს, ვერ განიხილება საერთაშორისო სამართლის სუბიექტად და მის მიმართ შეუძლებელია საერთაშორისო სამართლის წარმოება. საქართველოს სსრ-სთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები განიხილება მხოლოდ სსრ კავშირის საშინაო საქმეებად, რომელშიც საერთაშორისო სამართალი არსებითად ვერ ჩაერევა.

საქართველოს საქმე ასე მძიმე და უიმედო არ იქნებოდა, ხალხს რომ მაინც შეენარჩუნებინა ერის სამართალსუბიექტობა. სამწუხაროდ, ამასაც გადასწვდნენ ბოლშევიკები. საქართველოს სსრ-ში დიდი ხანია შემოღებულია ერთიანი საბჭოთა მოქალაქეობა. ამგვარად, საქართველოს აღარ დარჩა მემკვიდრეები, რომლებსაც შეეძლებოდათ სამართალსუბიექტად წარმოჩენა დაპყრობილი ერის სახით. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ბოლშევიკების მიერ დახლართულ ჯოჯოხეთურ პოლიტიკურ ავანტიურასთან, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ქართველები, როგორც ერი, აღარ არსებობენ საერთაშორისო სამართლის დღევანდელი გაგებისათვის. ბოლშევიკები ცდილობდნენ, ქართველებისათვის დაევიწყებინათ ქართული ენა და მოეხდინათ რუსიფიკაცია, მაგრამ ერმა ეს საშიშროება მწვავედ აღიქვა და წინ აღუდგა ამ პროცესს. ამის შესანიშნავი მაგალითია 1978 წლის 14 აპრილის გამოსვლები თბილისში, მაგრამ პოლიტიკური აზროვნების დაქვეითების გამო ერმა ვერავითარი მდგრადობა ვერ გამოიჩინა მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებით. პოლიტიკური თვალსაზრისით, ქართველი ერის სამართალსუბიექტობის საკითხი გაცილებით უფრო მყარი იქნებოდა, ქართულ მოსახლეობას რომ არ მიეღო ერთიანი საბჭოთა მომოქალაქეობა. ერს რომც დაეკარგა ეროვნული ენა, ოღონდ შეენარჩუნებინა ეროვნული მოქალაქეობა, მისი სამართალსუბიექტობის საკითხი არავითარ ეჭვს არ გამოიწვევდა. მაგალითისათვის შეგვიძლია განვიხილოთ ნებისმიერი ლათინოამერიკული ერი, რომლებიც პორტუგალიურ ან ესპანურ ენაზე მეტყველებს, მაგრამ ისინი ინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ მოქალაქეობას.

ბრაზილიელი, არგენტინელი ან პერუელი ერის სამართალსუბიექტობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ჩინეთში, ინდოეთში და რუსეთში / სსრ კავშირში/ მრავალი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობენ, მაგრამ საერთაშორისო სამართლისთვის ისინი უკვე აღარ წარმოადგენენ სამართალსუბიექტებს, როგორც ერები. უფრო სწორად, მათი ერების სამართალსუბიექტობა არ არის დადასტურებული ეროვნული მოქალაქეობით და პასპორტებით. ეს მდგომარეობა პირდაპირ შეგვეხება ქართველებსაც. საბჭოთა პასპორტებში თითქოს აღნიშნულია ჩვენი ეროვნება და ერთ-ერთ გრაფაში სწერია კიდეც ეროვნება-ქართველი, მაგრამ ამ პასპორტებს არა აქვთ საერთაშორისო ლეგალიზაცია, ისინი წარმოადგენენ მხოლოდ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოქმედ საშინაო დოკუმენტს, კიოადონის მოწმობას, რაც შეეხება საერთაშორისო ლეგალიზაციის მქონე საბჭოთა პასპორტებს ანუ, ეგრეთ წოდებულ, საბჭოთა სასაზღვარგარეთო პასპორტებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს ეძლევათ მხოლოდ საზღვარგარეთ მოგზაურობისას, იქ ეროვნება აღარ განისაზღვრება. იქ მხოლოდ ის წერია, რომ ამ პასპორტის მფლობელი საბჭოთა კავშირის მოქალაქეა. საბჭოთა კავშირი და რუსეთი კი ერთი და იგივეა დანარჩენი მსოფლიოსათვის.

რა თქმა უნდა, ქართველი ერი ისტორიულად ჩამოყალიბებული კონკრეტული ნაციაა და ქართველი ერის სამართალსუბიექტობა კამათს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ, როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ბოლშევიკებმა თავს მოგვახვიეს ისეთი კანონმდებლობა, რომელმაც საქართველოს და ქართველი ერის სამართალსუბიექტობის საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ყოველივე ამას შეიძლება არც ჰქონდა ესოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობა, მოქალაქეობა, მოქალაქეობის მიღება ან უარყოფა საერთაშორისო სამართლითა და საბჭოთა კანონებითაც ნებაყოფლობითი რომ არ ყოფილიყო.

საბჭოთა კანონებით ასეა განსაზღვრული— საქართველოს სსრ-ს მოქალაქეები ერთდროულად არიან სსრ კავშირის მოქალაქეებიც. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სახეზე გვაქვს ობტაციის ანუ ორმაგი მოქალაქეობის მაგალითი. თითქოს ჩვენ ერთდროულად ვართ საქართველოს სსრ-ს და სსრ კავშირის მოქალაქეები და აქაც მწარედ ვართ მოტყუებულნი. საქართველოს სსრ-ს მოქალაქეობა ნომინალურია - ესე იგი, ამ მოქალაქეობას არა აქვს რეალური ძალმოსილება. ჩვენ ვრჩებით მხოლოდ სსრ კავშირის მოქალაქეებად ანუ უბრალოდ რუსებად. უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ იმისი დამტკიცება შეგვიძლია, რომ ვართ ქართული წარმოშობის რუსები. მაგალითად ისევე, როგორც დუკაკისია ბერძნული წარმოშობის ამერიკელი. ყოველი ქართველი დარწმუნებულია, რომ მის ქართველობაში ვერავინ შეიტანს ეჭვს, მაგრამ საკმარისია ჩვენ მოვხვდეთ ნებისმიერ თავისუფალ ქვეყანაში, მაგალითად იაპონიაში, ავსტრალიაში ან კანადაში, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა სავალალო მდგომარეობაში ვიმყოფებით, რამდენიც არ უნდა ვიძახოთ: ჩვენ ვართ ერთ - ერთი უძველესი ერის შვილები, რომ მსოფლიოში დღეს არსებული თოთხმეტი დამწერლობიდან ერთ - ერთი ქართულია, რომ ჩვენ გვაქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის 25 საუკუნოვანი ისტორია, რომ ჩვენ ქრისტიანობა მივიღეთ **1700** წლის წინათ და, საერთოდ, მსოფლიოს მრავალ ერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩენილი ერი ვართ, ვერას გავხდებით. უცხოელს ჩვენ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ვერ ვანახვებთ საქართველოს, / ასეთი სუვერენული ქვეყანა დღეს არ არსებობს/ ვერც პასპორტით დავამტკიცებთ ჩვენს ეროვნებას და მებაჟის თვალში ჩვენ ისევ და ისევ დავრჩებით რუსებად.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ბოლშევიკებმა ყველაფერი წინასწარ განსაზღვრეს, ჩვენ მათ ხშირად ბრიყვებად ვთვლით და დავცინით, იმას კი აღარ ვფიქრობთ, თუ რამდენად ბრიყვულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით ჩვენი პოლიტიკური ინერტულობისა და კომუნისტების ვირეშმაკობის გამო.

დიახ, საქართველო დაიპყრეს, ბევრი რამ ძალით აღგვიკვეთეს, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ჩვენი უნდილობითა და დაუფიქრებლობით ბევრი ისეთი რამეც მივიღეთ

/დასასრული მე-5 გვერდზე/

# საქართველოს კონსტიტუცია

## 1920 წლის ივნისი

პროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი პირველი

### ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 2.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალი სახელმწიფოა.

მუხლი 3.

საქართველოს დედა ქალაქი არის ტფილისი, სადაც მუდმივ იმყოფება საქართველოს პარლამენტი და მთავრობა

მუხლი 4.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

მუხლი 5.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის- შვინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა.

საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის - ძლევამოსილი გიორგი თეთრ რაშზე მჯდომარე.

მუხლი 6.

ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია სათანადო წესით.

მუხლი 7.

კანონს არა აქვს უკუქცევითი ძალა, გარდა სისხლის სამართლის კანონისა, უკეთუ იგი ამსუბუქებს ბრალდებულის მდგომარეობას.

მუხლი 8.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობის წესით.

მუხლი 9.

ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობის წესით.

მუხლი 10.

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია.

კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა- გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების ძოვალეობას შეადგენს.

მუხლი 11.

კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩება, უკეთუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 12.

ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტლივ, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.

მუხლი 13

საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად საქართველოს რესპუბლიკას ერთად ერთ საშუალებად მიაჩნია თავისუფალ ერთა კავშირი.

მუხლი 14.

დამტკიცებისა და მიღების შემდეგ კონსტიტუციას აქვეყნებს დამფუძნებელი კრება თავის წევრთა ხელმოწერით.

## თავი მეორე

### მოქალაქეობა

მუხლი 15.

საქართველოს მოქალაქედ ითვლება:

ა/. შვილი საქართველოს მოქალაქისა, დაბადებული საქართველოს ტერიტორიაზე, ან მის გარეშე.

ბ/. ქორწინების გარეშე შობილი საქართველოს მოქალაქე დედისაგან.

გ/. ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა.

დ/. კანონიერი წესით შვილად აყვანილი საქართველოს მოქალაქის მიერ.

ე/. უცხოეთში გათხოვილი საქართველოს მოქალაქე-ქალი რომელიც დაქვრივების ან განქორწინების შემდეგ, განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობის სურვილს. ხოლო არასრულწლოვანი შვილი ასეთი ქვრივისა ან განქორწინებულისა, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადა მამის მოქალაქეობაში დარჩენის სურვილი.

ვ/. უცხოელთა არასრულწლოვანი შვილი, ქორწინებაში თუ მის გარეშე შობილი იმ დღიდან, როცა მისი მშობლები მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას.

ზ/. შვილი საქართველოს იმ მოქალაქე -ქალისა, რომელიც უცხოელს მისთხოვდება, მაგრამ მუდმივ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადა, რომ სურს მამის მოქალაქეობა შეინარჩუნოს.

თ/. ვინც ნატურალიზაციით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

მუხლი 16.

ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოვებისათვის შუამდგომლობის აღძვრა შეუძლიან უცხო ქვეშევრდომს ან ქვეშევრდომობის გარეშე მყოფს, რომელიც უკანასკნელი სამი წლის განუწყვეტლივ სცხოვრობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შუამდგომლობა უნდა წარედგინოს რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც ერთი წლის შემდეგ დღიდან შუამდგომლობის აღძვრისა, განიხილავს მის თხოვნას და მიანიჭებს მთხოვნელს მოქალაქეობას, უკეთუ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მავნებლად არ მიიჩნევს. თხოვნის შეტანიდან განხილვამდე მთხოვნელი აუცილებლად საქართველოში უნდა ბინადრობდეს.

შენიშვნა: 1. უცხო ქვეშევრდომი, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე თვისი სამეცნიერო შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით თუ სხვა რაიმეთი, შეიძლება ამ ვადის გარეშეც მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ

შენიშვნა 2. აგრეთვე ვადის არ მიხედვით შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ ყოველი უცხო - -ქვეშევრდომი ქართველი.

მუხლი 17.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქედ.

მუხლი 18.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას ჰკარგავს:

ა/. ვინც რესპუბლიკის წინაშე, კანონით განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ მოვალეობათა შესრულების შემდეგ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობას მიიპოვებს ნატურალიზაციის წესით.

ბ/. ვინც უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად.

გ/. ვინც უცხო ქვეშევრდომს მისთხოვდება და არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქედ დარჩენის სურვილს.

## თავი მესამე

### მოქალაქის უფლებანი

მუხლი 19.

მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

მუხლი 20.

წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

მუხლი 21.

ხარისხის მინიჭება შეიძლება მხოლოდ თანამდებობის ან პროფესიის აღსანიშნავად. აკადემიურ ხარისხს იგი არ ეხება.

ორდენი და წარჩინების ნიშანი სახელმწიფომ არ უნდა მიანიჭოს.

მოქალაქეს არ შეუძლიან უცხო სახელმწიფოსაგან მიიღოს წარჩინების ნიშანი.

მუხლი 22.

არ შეიძლება დასჯილ იქნეს ვინმე სხვაფრივ, თუ არა სასამართლოს წესით. გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინარული წესი

მუხლი 23.

ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით.

მუხლი 24.

არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვაფრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრეკილ იქნეს ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით.

მუხლი 25.

ადმინისტრაციას შეუძლიან თავისი უფლებით შეიპყროს ვინმე შემდეგ შემთხვევაში

ა/. როცა ბოროტმოქმედს ზედ დანაშაულის ადგილზე მიასწრებს.

ბ/. როცა დანაშაულზე მიასწრებს და დანაშაულისაგან დაზარალებული, ან დამსწრე ვინმე ბოროტმოქმედს ხელს დაადებს.

გ/. როცა მას, ვიზედაც ეჭვია მიტანილი, რაიმე გასამტყუნებელი ნივთი აღმოჩნდება, ან როცა მის ტანზე ან მის ბინაზე დანაშაულის აშკარა ნიშანი და კვალი აღმოჩნდება.

მუხლი 26.

დამნაშავეთა დაკავება შეუძლიან კერძო პირსაც, თუ დანაშაულის ადგილას მიასწრებს და ამასთანავე ადმინისტრაციის მოსვლამდის მათი მიმალვა მოსალოდნელია.

მუხლი 27.

როგორც სასამართლოს ორგანოთა, ისე ადმინისტრაციის ბრძანებით შეპყრობილი, 24 საათის განმავლობაში უახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარდგენილი. თუ აღნიშნული სასამართლო ისეა დაშორებული, რომ 24 საათში დამნაშავის წარდგენა შეუძლებელია, ეს ვადა განგრძობილ უნდა იქნეს ადგილობრივ გარემოების მიხედვით, მხოლოდ არა უმეტეს 48 საათისა

მუხლი 28.

27-ე მუხლში აღნიშნული სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, დაჰკითხოს. ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძანება გასცეს ან მისი შეპყრობის განგრძობისა ან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

მუხლი 29.

სასამართლოს სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან, უკეთუ რაიმე გზითა და აშუალებით ეცნობათ, რომ ვინმე ზემოაღნიშნულ წესთა დარღვევითაა შეპყრობილი, დაუყოვნებლივ გამოიძიონ საქმე და წერილობითი ბრძანება გასცენ ან მისი განთავისუფლებისა ან შეპყრობის განგრძობის შესახებ.

მუხლი 30.

იმ საპატიმროს ან დაწესებულების უფროსი, სადაც შეპყრობილი ზის, ვალდებულია გაანთავისუფლოს უკანასკნელი, თუ 24 საათში სასამართლოს წერილობითი ბრძანება არ მიუვიდა შეპყრობის განგრძობისათვის.

მუხლი 31.

ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია. მისი გაჩხრეკა მხოლოდ სასამართლოს დადგენილებისამებრ შეიძლება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 32.

კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია. მისი ამოხმობა და გადაშინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 33.

ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია. ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება.

მუხლი 34.

ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლიან აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.

სარწმუნოებისა და რწმენის მომიზეზებით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლიან, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქეობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე

მუხლი 35.

ყველა მოქალაქეს შეუძლიან თავისუფლად დაარსოს ყოველგვარი სარწმუნოებრივი კავშირი, თუ ამ კავშირის მიზანი და მოქმედება კანონით აკრძალული არ არის.

მუხლი 36.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი ბოროტმოქმედებისათვის რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

მუხლი 37.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბონ საჯაროთ და უიარაღოთ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

მუხლი 38.

ადმინისტრაციას შეუძლიან დახუროს კრება, თუ დანაშაულის ხასიათი მიიღო.

მუხლი 39.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დაარსონ ყოველგვარი კავშირი, თუ მისი მიზანი კანონით არ არის აკრძალული. კავშირის გაუქმება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 40.

გონებრივი, სასულიერო, სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონების მიხედვით.

მუხლი 41.

პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილია.

მუხლი 42.

მუშათა მშვიდობიანი გაფიცვა თავისუფალია, უკეთუ არ ეწინააღმდეგება კანონსა და სახელმწიფოს ინტერესებს.

მუხლი 43.

ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით.

მუხლი 44.

ქორწინება უნდა ემყარებოდეს უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობასა. ქორწინების ფორმასა და წესებს კანონი განსაზღვრავს.

ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი, უფლებითა და მოვალეობით თანასწორნი არიან. დედას უფლება აქვს იდაოს და დაამტკიცოს, ვინ არის მამა მის მიერ ქორწინების გარეშე შობილისა. აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილს უფლება აქვს

მუხლი 45.

აკრძალულია - უცხო სახელმწიფოს გადაეცეს პოლიტიკური დამნაშავე.

მუხლი 46.

საქართველოში უცხოელებს ისეთივე პირადი და ქონებრივი უფლებები აქვთ, როგორც რესპუბლიკის მოქალაქეებს, თუ მათი უფლება სხვარიგად არ არის განსაზღვრული საერთაშორისო წესით.

მუხლი 47.

ზემოაღნიშნულ კანონთა დადგენილების დარღვევისათვის, როგორც თანადებობის, ისე კერძო პირი, მიეცემა პასუხისგებაში, თანახმად სისხლის სამართლის კანონებისა.

მუხლი 48.

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 49.

შინაური ამბოხებისა ან უცხო სახელმწიფოსთან ომის დროს, პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელსამე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 24, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 36, 37, 42 და 48, ომის დროს კი 23 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ პირობით რომ სამხედრო სამართალში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მომქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

თუ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლიან თავის პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება, მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავისი დადგენილება წარუდგინოს.

მუხლი 50.

დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს დროებით 24-ე, 27-ე და 33-ე მუხლში აღნიშნულ უფლებათა გარანტია, რამდენადაც ამას ეპიდემიასთან ბრძოლა მოითხოვს.

მუხლი 51.

კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ შეწყნარებული პრინციპებიდან.

## თავი მეოთხე

### პარლამენტი

მუხლი 52.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის "საქართველოს პარლამენტი", რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეულ დეპუტატებისა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა რომელსაც ოცი წელი შესრულებია.

პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით.

მუხლი 53.

პარლამენტის წევრთა ასარჩევად რესპუბლიკა დაყოფილია საარჩევნო ოლქებად თანახმად კანონისა. თითოეულ ოლქს უნდა მიეკუთვნოს განსაზღვრული პროპორციული რიცხვი დეპუტატებისა, მცხოვრებთა რაოდენობისამებრ. არჩევნების დანარჩენ წეს - რიგს განსაზღვრავს საარჩევნო კანონი.

მუხლი 54.

პარლამენტის წევრები წარმოადგენენ მთელს ერს და არა ცალკე ოლქს, რომელმაც ისინი აირჩია.

მუხლი 55.

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს. პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია. არ შეიძლება შეპყრობილ ან სამართალში მიცემულ იქნეს, ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება, თუ თვით პარლამენტმა ნება არ დართო. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ. ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. შეპყრობილი ან სამართალში მიცემული პარლამენტის წევრი განთავისუფლებულ უნდა იქნეს, თუ პარლამენტი მოითხოვს.

მუხლი 56.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გაანდვეს, როგორც დეპუტატს. ეს უფლება არ ეკარგება მას მაშინაც, როცა დეპუტატად აღარ ითვლება.

მუხლი 57.

პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო.

მუხლი 58.

პარლამენტის წევრს არ შეუძლიან იმავე დროს რაიმე ჯამაგირიანი თანამდებობა ეჭიროს სახელმწიფოს ან ადგილობრივ მმართველობის სამსახურში. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მთავრობის წევრი, სახელმწიფო კონტროლიორი, მინისტრის ამხანაგი ან ასრულებდეს ადგილობრივი მმართველობის ხმოსნის მოვალეობას, დეპუტატს შეუძლიან მიიღოს მთავრობისაგან რაიმე პოლიტიკური დავალება - არა უმეტეს ექვსი თვისა.

მუხლი 59.

ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.

მუხლი 60.

პარლამენტი გამოსცემს კანონს, დეკრეტსა და დადგენილებას. მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

მუხლი 61.

პარლამენტის უფლებაა:

ა/. უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა.

ბ/. ომის გამოცხადება.

გ/. ზავის ჩამოგდება.

დ/. დამტკიცება საზავო, სავაჭრო და სხვა ხელშეკრულებისა უცხო სახელმწიფოებთან.

ე/. ამნისტია.

ვ/. ბიუჯეტის დამტკიცება.

ზ/. საშინაო და საგარეო სესხის აღება.

თ/. თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული.

ი/. საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

მუხლი 62.

პარლამენტის სხდომები საჯაროა, მაგრამ პარლამენტს შეუძლიან განსაკუთრებული დადგენილებით ფარულად გამოაცხადოს თავის სხდომა, ან ნაწილი სხდომისა.

მუხლი 63.

პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა არჩევნების კანონიერებას და გადასწყვეტს ყოველსავე დავას ამ საგანზე.

მუხლი 64.

პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის მარტივი უმრავლესობით, თუ რეგლამენტით ან კანონით სხვა წესი არ არის მიღებული.

მუხლი 65.

პარლამენტის გახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა

მუხლი 66.

პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ მთავრობისადმი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა. წესი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა განისაზღვრება კანონით ან რეგლამენტით.

მუხლი 67.

პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტით თავის მოქმედების წესს.

მუხლი 68.

პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირა დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში, იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას.

მუხლი 69.

პარლამენტის მუშაობის დროებით შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით.

მუხლი 70.

პარლამენტის მუშაობა შეიძლება შეწყვეტილ იქნას არა უმეტეს ხუთი თვისა წელიწადში. როცა პარლამენტის მუშაობა შეწყვეტილია, მისი მოწვევის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევისათვის აქვს მთავრობას, ან პარლამენტის პრეზიდიუმს.

პარლამენტის შეკრება სავალდებულოა, თუ დეპუტატთა ერთი მეოთხედი მოითხოვს.

მუხლი 71.

ინიციატივის უფლება ეკუთვნის:

ა/. პარლამენტის ყოველ წევრს.

ბ/. 5.000 ამომრჩეველს.

მუხლი 72.

თუ ოცი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოდ ხალხს წარუდგინოს.

რეფერენდუმის წესს განსაზღვრავ კანონი.

მუხლი 73.

პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს პრეზიდიუმს.

არ შეიძლება ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ, ან მის ამხანაგად, არჩეულ იქნეს ზედიზედ.

## თავი მეხუთე

### აღმასრულებელი ხელისუფლება

მუხლი 74.

უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

მუხლი 75.

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს არის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი.

მუხლი 76.

მთავრობის დანარჩენ წევრებს- მინისტრებს, იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა - გან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

მუხლი 77.

მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი.

მუხლი 78.

მთავრობის წევრს არ შეუძლიან იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობა ეჭიროს, ან რომელსამე პროფესიას მისდევდეს, შეუძლიან იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი და ადგილობრივი მმართველობის ხმოსანი.

თავმჯდომარე სცემს ბრძანებასა და განკარგულებას კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი შესრულება დააბრკოლოს.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მმართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენისა კანონში აღნიშნულ წესისამებრ.

თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება, გარდა იმისა, რაც ამ კონსტიტუციით არის მისდა მიკუთვნებული.

მუხლი 80.

როდესაც თავმჯდომარე ავად არის ან სხვაგან იმყოფება, მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მინისტრი, მისავე დავალებით.

მუხლი 81.

მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობაა:

ა/. რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, თანახმად კანონისა.

ბ/. თვალ-ყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა.

გ/. წარდგენა პარლამენტის წინაშე თავის კანონპროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტისა ან ხალხის ინიციატივით არის შემოსული.

დ/. დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა.

ე/. უზრუნველყოფა რესპუბლიკისა გარეშე განსაცდელისა და დაცვა მისი ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობისა.

ვ/. ზრუნვა შინაური წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის.

მოულოდნელ შემთხვევაში, თუ საჭიროებამ მოითხოვა, მთავრობას უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა რესპუბლიკისა 3.000 კაცამდე ვადით არა უმეტეს 20 დღისა უკეთუ მეტი ძალა დასჭირდა, ან მეტის ვადით, ამის ნებართვა პარლამენტისაგან უნდა მიიღოს.

# საქართველოს კონსტიტუცია

## 1920 წლის ივნისი

პროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ/. განაგოს ფინანსები, სწრას ფული თანახმად კანონისა და ყოველწლივ წარუდგინოს პარლამენტს შემოსავალ - გასავალის სავარაუდო აღრიცხვა და ბიუჯეტი.

თ/.ანგარიში აძლიოს პარლამენტს თავის მოქმედებისა და ყოველ წელს ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობისათვის, წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა.

ი/. შეასრულოს ყოველივე, რაც კანონს ან პარლამენტს მისთვის დაუვალებია.

მუხლი 82.

რესპუბლიკის დანარჩენ საქმეთა მართვა - გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის.

მუხლი 83.

როგორც მთავრობა მთლიანად, ისე თვითეული მინისტრი აღჭურვილი უნდა იყოს პარლამენტის ნდობით. როგორც მთავრობა, ისე თვითეული მინისტრი უნდა გადადგეს, თუ დაჰკარგავს პარლამენტის ნდობას მისი გადაჭრილი დადგენილებით.

მთავრობა განსაზღვრავს პოლიტიკის საერთო მიმართულებას და პასუხისმგებელია, ამ მიმართულებისა და საერთო გამგებლობისათვის /მუხ. 81/.თვითეული მინისტრი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით უძღვება მისთვის მინდობილ საქმეს /მუხ. 82/.

მინისტრს უფლება აქვს პარლამენტში ხმის მიცემისა მხოლოდ მაშინ,როცა დეპუტატად ირიცხება.

მუხლი 84.

მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს პარლამენტისა და მისი კომისიის სხდომას დაესწროს.თუ მინისტრმა მოითხოვა,პარლამენტი და მისი კომისია ვალდებულია მოუსმინოს. თავის მხრივ პარლამენტისა და კომისიის მოთხოვნით მინისტრიც ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ახსნა-განმარტება მისცეს.

მუხლი 85.

მთავრობის წევრთა პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს.მთავრობის წევრთა გასამართლება საერთო წესით სწარმოებს.

მუხლი 86.

ერთისა და იმავე პირის არჩევა მთავრობის თავმჯდომარედ ზედიზედ არ შეიძლება.

## თავი მეექვსე

## სასამართლო

მუხლი 87

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო--სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი და რომელიც მოვალეა:

ა/.თვალყური ადევნოს კანონის დაცვასა და სისწორით ასრულებას.

ბ/. განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ.

მუხლი 88.

სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა საწარმოებლად არსებობს მუდმივი სასამართლოები.

სასამართლოს ორგანიზაცია იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით

მუხლი 89.

სასამართლო დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

მართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით

მუხლი 90.

სასამართლოს არცერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

მუხლი 91.

სასამართლოს სხდომა საჯაროა. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ზნეობისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის ინტერესი, სხდომა შეიძლება კარდახურულ იქნეს თვით სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 92.

ყოველგვარ სისხლის სამართლის,პოლიტიკურის და აგრეთვე ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

მუხლი 93.

მოსამართლის თანამდებობის მიღების წესი, აგრეთვე პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული, აღნიშნულია კანონში.

მუხლი 94.

არ შეიძლება სასამართლოს წევრის დათხოვნა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ.

თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამართალში ან გამოძიებაში იქნება მიცემული.

სრულიად დათხოვნა კი შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენის ძალით.

## თავი მეშვიდე

## სახელმწიფო ფინანსები

მუხლი 95.

არცერთი გადასახადი არ შეიძლება დაწესებულებიდან აკრეფილ იქნეს,თუ წინასწარ პარლამენტის მიერ არ იქნა დადასტურებული.

შენიშვნა: ადგილობრივი მმართველობის გადასახადთა დაწესების უფლებას განსაზღვრავს ცალკე კანონი.

მუხლი 96.

სახელმწიფო გადასახადისაგან ვერავინ განთავისუფლდება,თუ არ კანონის ძალით.

მუხლი 97.

თუ არ კანონის ძალით,არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ ხარჯი არ შეიძლება გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

მუხლი 98.

პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება აღებულ იქნეს სახელმწიფო სესხი და არც რაიმე ფინანსური ვალდებულება.

მუხლი 99.

როდესაც პარლამენტის სხდომები შეწყვეტილია, ხოლო სესხის აღებას საჭიროება მოითხოვს, პარლამენტი საჩქაროთ მოწვეულ უნდა იქნეს.

მუხლი 100.

სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში აღნიშნული უნდა იქნეს. ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

მუხლი 101.

თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საანგარიშო წლის დამდეგამდე,მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაჰფაროს,პარლამენტის ნებართვით.

მუხლი 102.

ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი მუხლიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაურთველად.

## თავი მერვე

## სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 103.

სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება:

ა/. სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება.

ბ/.სახელმწიფოს ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი.

გ/.მთავრობის და სხვა და სხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში.

მუხლი 104.

სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი. იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის წევრად,მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

მუხლი 105.

კონტროლის ორგანიზაცია და წესი მოქმედებისა განსაზღვრულია კანონით.

## თავი მეცხრე

## სახელმწიფო თავდაცვა

მუხლი 106.

ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა თანახმად კანონისა.

მუხლი 107.

სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა.

მუხლი 108.

სამხედრო ბეგარის ვადა და სამხედრო ძალთა ყოველი მოწყობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 109.

ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველწლივ პარლამენტი ამტკიცებს.

მუხლი 110.

ჯარში ჩარიცხული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთგულების ფიცსა ან აღთქმას დებს.

## თავი მეათე

## ადგილობრივი მმართველობა

მუხლი 111.

ადგილობრივი მმართველობა განაგებს ადგილობრივი მართვა-გამგეობის და მეურნეობის საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 112.

ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაცია,უფლება,მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 113.

ადგილობრივ მმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება თანახმად კანონისა.

მუხლი 114.

ადგილობრივი მმართველობა ირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით.

მუხლი 115.

ადგილობრივი მმართველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

მუხლი 116.

მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი მმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ ეწინააღმდეგება კანონს.წესი და პირობა შეჩერებისა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 117.

ადგილობრივი მმართველობა მართვა- გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს.

მუხლი 118.

იმ საგნებს,რომლის შესახებაც ადგილობრივი მმართველობის დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ, განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 119.

ადგილობრივ მმართველობას ენიჭება საბიუჯეტო უფლება, განსაზღვრული ცალკე კანონით.

## თავი მეთერთმეტე

## აფხაზეთის სამუსლიმანო საქართველოსა და ზაქათალას ავტონომიური მმართველობა

მუხლი 120

აფხაზეთს/სოხუმის ოლქი/ სამუსლიმანო საქართველოს /ბათუმის მხარე/ და ზაქათალას /ზაქათალას ოლქი/,საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს, ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

მუხლი 121.

წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობის დებულება შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით.

## თავი მეთორმეტე

## სწავლა განათლება და სკოლა

მუხლი 122.

ხელოვნება,მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია სახელმწიფოს მოვალეობა არის მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

მუხლი 123.

სახელმწიფო ზრუნავს- ხელოვნებისა, ისტორიისა,კულტურისა და ბუნების ნაშთი და ძეგლი დაცულ იქნეს და უცხოეთში არ იქნეს გატანილი.

მუხლი 124.

პირველ დაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთ ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს,სადაც პირველ დაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა. სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საერთოა.

მუხლი 125.

პირველდაწყებით სკოლაში ულარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცემათ.

მუხლი 126.

კერძო თაოსნობით გამართული სკოლა ემორჩილება რესპუბლიკის კანონს.

მუხლი 127.

სავალდებულო სწავლის დამთავრებისას თვითეულ მოწაფეს ეძლევა ერთი ცალი კონსტიტუცია.

## თავი მეცამეტე

## სოციალ ეკონომიური უფლებანი

მუხლი 128.

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მუხლი 129.

საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესითა და საფასურით.

მუხლი 130.

რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოს ის სავაჭრო,სამრეწველო და სამეურნეო დარგი და კერძო წარმოება,რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

მუხლი 131.

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია სოფლის მეურნეობის აყვავება.მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწისმფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

მუხლი 132.

დაქირავებული სამუშაო ძალა რესპუბლიკის კანონმდებლობის საზრუნავი საგანია

მუხლი 133.

რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივ მმართველობას ევალება დააარსოს შრომის ბირჟა, შუამავალი კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება,რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს საშოვნელად.

ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მუხლი 134.

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

მუხლი 135.

მოხუცებულობით, დაავადებით, თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით.ასევე დაეხმარება ხაზინა,უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლია.

მუხლი 136.

დაქირავებული მუშა,რომელიც მოხუცებულობით,დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადიდან.

მუხლი 137.

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შეწერილი გადასახადისა ზემოაღნიშნულ მოვალეობათა ასასრულებლად,რესპუბლიკის წლიური შემოსავლიდან უნდა გადაიდოს არა ნაკლებ 5%-ისა.

მუხლი 138.

ნორმალი სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს.ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს.გამონაკლისს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 139.

წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია. 16-18წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო ისაზღვრება 6 საათით დღეში. მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მუხლი 140.

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალი პირობანი წარმოებაში.

არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამქირავებლისაგან.

მუხლი 141.

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას დედობისათვის მავნე წარმოებაში.მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად.დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

მუხლი 142.

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 143.

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა.

## თავი მეთოთხმეტე

## ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

მუხლი 144.

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ- კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება სწეროს,ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე.

მუხლი 145.

ამა თუ იმ უმცირესობისადმი მიკუთვნება განისაზღვრება თანახმად მოქალაქეთა სურვილისა და მათი ნება-ყოფლობითი განცხადებისა.

მუხლი 146.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ ეროვნულ უმცირესობას უფლება აქვს შეადგინოს ეროვნული კავშირი.მოაწყოს და დაიცვას თავისი კულტურული საქმე კონსტიტუციისა და კანონების საზღვრებში.

მუხლი 147.

ეროვნულ კავშირს უფლება აქვს გახდეს იურიდიულ პიროვნებად თანახმად საერთო წესებისა.

მუხლი 148.

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისათვის.

მუხლი 149.

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე,რომელიც შეიცავს კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მუხლი 150.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო,სამოქალაქო,სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

მუხლი 151.

ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გაღებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლებისა და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით.

მუხლი 152

ეროვნული უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის დედა-ენაზე.

მუხლი 153.

ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება,სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც.

მუხლი 154.

კანონთა გამოქვეყნების წესი ეროვნულ უმცირესობისათვის განისაზღვრება ცალკე კანონით.

მუხლი 155.

არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლიან პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით.

## თავი მეთხუთმეტე

## სახელმწიფო მოხელენი

მუხლი 156

საქართველოს მოქალაქე შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

მუხლი 157.

მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ იქნეს იმ დაწესებულების ან უფროსის განკარგულებით,ვისგანაც იყო მიღებული, ხოლო სრულებით დათხოვნა სამსახურიდან შეიძლება იმ ორგანოს დადგენილებით,რომელსაც ამის უფლება ექნება მინიჭებული კანონით.

მუხლი 158.

თვითეულ მოხელეს მიენიჭება უფლება პენსიისა. მოხელისა და მის ოჯახის წევრთა მიერ პენსიის მიღების პირობას განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 159.

თვითეული მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესისამებრ. მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულისათვის.

მოქალაქეს უფლება აქვს მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოსთხოვოს სახელმწიფოს.

## თავი მეთექვსმეტე

## სახელმწიფო და ეკლესია

მუხლი 160.

სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან. არ შეიძლება იქნეს გამოცემული ისეთი კანონი,რომელიც აღიარებს ან უარყოფს რომელსამე სარწმუნოებას ან სარწმუნოებრივ ორგანიზაციას.

მუხლი 161.

არც ერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა.

მუხლი 162.

ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ მმართველობათა თანახმად სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.

## თავი მეჩვიდმეტე

## კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 163.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს:

ა/. პარლამენტის წევრთა ნახევრის არანაკლებს.

ბ/ 50.000 სულ ამომრჩეველსა.

მუხლი 164.

წინადადება კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივ გადასინჯვისა პარლამენტის დღიურ წესრიგში შედის განსახილველად არა უადრეს ექვსი თვისა შეტანის დღიდან.

მუხლი 165.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის წინადადება მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის დადასტურების შემდეგ.

მუხლი 166.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნა

### როგორ დავიბრუნოთ სამართალსუბიექტობა /დასასრული/

ნებაყოფლობით, რასაც ვერ აიტანდა ვერც-ერთი სუვერენული და თავისუფალი ერი. ბევრი რამ წაგვართვეს, მაგრამ ბევრი რამ ყოვლად დაუთმობელი ჩვენვე დავთმეთ. მოგვატყუეს და შემოგვთავაზეს ოქტაცია-ორმაგი მოქალაქეობა. კი ბატონო, იყავით საქართველოს სსრ-ს მოქალაქეები, მაგრამ ვინაიდან ძმები და მეგობრები ვართ, რუსეთის მოქალაქეებიც გახდით. ჩვენც დავთანხმდით და არც დავფიქრებულვართ იმაზე, რომ ყველამ ერთად ვუღალატეთ ჩვენს მოვალეობას საკუთარი სამშობლოს წინაშე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-17 მუხლში წერია: "საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს ამავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქე".

მას შემდეგ რაც რუსეთმა 1921 წელს დაიპყრო საქართველო, რაც რუსის ჯარი შემოვიდა საქართველოს მიწა-წყალზე და ბოლშევიკებმა თავს მოგვახვიეს თავიანთი კანონმდებლობა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ შეწყვიტა მოქმედება.

გავრცელებულია აზრი თითქოს ეს კონსტიტუცია აღარ არის ძალაში. რა თქმა უნდა, ოკუპირებულ ქვეყანაში ეროვნული კონსტიტუცია ვეღარ იმოქმედებს სრული ძალმოსილებით, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია იურიდიულად კვლავ ძალმოსილია და არავითარი საფუძველი არ არსებობს მისი გაუქმებისა.

რადგან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 165-ე მუხლში გარკვევით წერია: "კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის წინადადება მიღებული უნდა იქნას პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის დადასტურების შემდეგ".

ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციის გაუქმება კი არა, გადასინჯვაც კი შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის ორ მესამედს და ისიც ძალაში შედიოდა მხოლოდ საყოველთაო ეროვნული პლებისციტით დამტკიცების შემდეგ.

ასე რომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია დღესაც ძალაშია და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული ვაღიარებთ თუ არა მას ჩვენს უზენაეს კანონად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია მუშავდებოდა სამი წლის განმავლობაში. მისი უზენაეს კანონად აღიარება იყო ქართველი ხალხის ნების უკანასკნელი გამოვლინება და მისი ხელყოფის უფლება არა აქვს არც ერთ ქართველს. ყველა კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას და მიღებულია 1921 წლის 21 თებერვლის შემდეგ, ბათილია ქართველებისათვის.

იმის შემდეგ, რაც ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ 1921 წელს რუსეთმა მიმართა აგრესიას და ეს აგრესია დღესაც გრძელდება ოკუპაციისა და ანექსიის სახით, აუცილებლად უნდა განვმარტოთ შემდეგი:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი მოქალაქეებისადმი რუსეთის მხრიდან ჩადენილია საერთაშორისო სამართლის დანაშაული, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, სუბიექტი რომელსაც ამ დანაშაულისათვის უნდა დაეკისროს საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობა, სსრ კავშირია თავისი მთავრობითა და მოქალაქეებით.

მოსარჩლე, ამ მხრივ, შეიძლება იყოს ან თვით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ან საქართველოს მოქალაქეები. დღეს აღარ არსებობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ დარჩა საქართველოს ხალხი, რომლებსაც შეუძლიათ თავისუფლად აღიდგინონ საქართველოს მოქალაქეობა. და მხოლოდ იმათ, ვინც აღიდგენს საქართველოს მოქალაქეობას, შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქართველი ერის ისტორიულ-პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე. ე.ი. მხოლოდ მათ შეუძლიათ საერთაშორისო სამართლის წინაშე წარსდგნენ როგორც მოსარჩლენი.

ისევ აღვნიშნავთ, საქართველოსათვის ერთად - ერთ უზენაეს კანონს წარმოადგენს 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. მხოლოდ ამ კონსტიტუციის მუხლების შესაბამისად შეიძლება განისაზღვროს, თუ ვინ შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე. არც ერთი სხვა ამ კონსტიტუციის საწინააღმდეგო კანონმდებლობა არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 18-ე მუხლის თანახმად "საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას ჰკარგავს:

ა/. ვინც რესპუბლიკის წინაშე, კანონით განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ მოვალეობათა შესრულების შემდეგ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობას მოიპოვებს ნატურალიზაციის წესით.

ბ/. ვინც უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად.

გ/. ვინც უცხო ქვეშევრდომს მისთხოვდება და არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქედ დარჩენის სურვილს".

აქედან გამომდინარე, საქართველოს დღევანდელი მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, ისინი ქართველები არიან, თუ არაქართველები, სანამ უარს განაცხადებენ სსრ კავშირის მოქალაქეობაზე და არ მოითხოვენ საქართველოს მოქალაქეობას, ვერ წარმოჩინდებიან ისტორიული ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ მემკვიდრეებად. მათ საქართველოს კონსტიტუციის მუხლების შესაბამისად დაკარგული აქვთ საქართველოს მოქალაქეობა. მაგრამ მათ შეუძლიათ ეს მოქალაქეობა ისევ დაიბრუნონ ან მოიპოვონ ამავე კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობების თანახმად.

ის ქართველები და არაქართველები, რომლებიც დღესაც ნებაყოფლობით რჩებიან სსრ კავშირის მოქალაქეებად, იმყოფებიან სსრ კავშირის სამხედრო ან მნიშვნელოვან სამოქალაქო სამსახურში, საქართველოსათვის, 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, კარგავენ საქართველოს მოქალაქეობას და ითვლებიან უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომებად.

ყოველი ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური ბედი უნდა გადაწყვიტონ ამ ქვეყნის მოქალაქეებმა. საქართველოს სახელმწიფოებრივ და ისტორიულ სამართლებრივ პოლიტიკურ საკითხებში, რეფერენდუმში, სახელმწიფო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ შეიძლება ჰქონდეთ უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომებს.

მოგეხსენებათ, ბალტიისპირეთში ეროვნულ -განმათავისუფლებელ მოძრაობას საბჭოთა იმპერიამ დაუპირისპირა ინტერფრონტები. ასეთი პოლიტიკური ფალსიფიკაციის საშუალება მათ ვერ მიეცემათ საქართველოში. საქმე ის არის, რომ ესტონეთის მოქალაქეთა კომიტეტებმა დაუშვეს არსებითი შეცდომა. -მათ აღადგინეს ესტონეთის მოქალაქეობა, მაგრამ ამასთან ერთად ესტონეთის მოქალაქეებს უარი არ განუცხადებიათ სსრ კავშირის მოქალაქეობაზე. ამიტომ ესტონეთში მცხოვრები არაესტონური მოსახლეობაც მათთან ერთად ერთნაირ სამართლებრივ მდგომარეობაში [illegible] თის დამოუკიდებლობის საკითხზე [illegible] თაც შეუძლიათ რეფერენდუმში მონაწილეობა და ესტონეთის თავისუფლების საქმისათვის ზურგში დანის ჩაცემა. რაც შეეხება საქართველოს, აქ შეიქმნა საქართველოს მოქალაქეთა ლიგა, რომლის წევრებიც საქართველოს მოქალაქეობის მოთხოვნასთან ერთად აუცილებლად უარყოფენ სსრ კავშირის მოქალაქეობას.

მართალია, აღარ არსებობს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც სსრ კავშირს საერთაშორისო სამართლის წინაშე პასუხს მოსთხოვდა საქართველოს 70 წლიანი აგრესიისათვის, მაგრამ საქართველოს ხალხს სრული უფლება აქვს, უარი განაცხადოს სსრ კავშირის მოქალაქეობაზე, მოიხსნას დამპყრობლის ქვეშევრდომობა, აღადგინოს საქართველოს მოქალაქეობა, საერთაშორისო სამართლის ძალით მოითხოვოს საქართველოში სსრ კავშირის აგრესიის აღკვეთა და აგრესორისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება.

---

## საქართველოს მოქალაქეთა ლიგის დამფუძნებელი კომიტეტის

# დეკლარაცია

საქართველოს გააჩნია არანაკლებ 2 500 წლოვანი სახელმწიფოებრიობის ისტორია. ქართველი ხალხი ოდითგანვე სახლობს ამიერკავკასიაში და საქართველოს სახელმწიფო საზღვრები ძირითადად დადგენილია თვით ისტორიით; საქართველომ მრავალწლოვანი ბრძოლის განმავლობაში შეინარჩუნა თავისი ეროვნული თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მას არასოდეს შეუწყვეტია. საქართველო მსოფლიო ხალხების ისტორიაში ჩამოყალიბდა როგორც სამართალსუბიექტი, რომლის კანონიერ მემკვიდრეს წარმოადგენს საქართველოს ხალხი.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე რუსეთის იმპერიამ იმდროინდელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების და კონკრეტული ხელშეკრულებების დარღვევითა და სამხედრო ოკუპაციით დაიკავა საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი და თვითნებურად, ანექსიის უკანონო აქტებით, მოსპო ქართული სახელმწიფოებრიობა. ქართული პოლიტიკური აზროვნება და დაადგა დაკნინების გზას, ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ისიც, რომ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში 1801 წელს დაწყებული მართლსაწინააღმდეგო ანექსია საქართველოს მიწა-წყლისა გამოცხადებული იქნა იმჟამინდელი ხელისუფლების მხრიდან, როგორც ნებაყოფლობითი შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

ვინაიდან 1801 წლიდან 1917-18 წლებამდე რუსეთის იმპერია უკანონოდ ფლობდა საქართველოს მიწა-წყალს, აკნინებდა საქართველოს ეროვნულ თვითშეგნებას, ეწეოდა საქართველოს მოსახლეობის ძალისმიერ რუსიფიკაციას, ანადგურებდა საქართველოს კულტურულ-ისტორიულ და სულიერ გარემოს, ძარცვავდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს, ეს პერიოდი განხილულ უნდა იქნას, როგორც საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობის გამომწვევი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით საქართველომ აღიდგინა წართმეული სახელმწიფოებრიობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე ფაქტოდ და დე იურედ იქნა ცნობილი მსოფლიოს მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ. საქართველოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით ცნო რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამაც.

1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის სფსრ-მ მე-9 და მე-11 წითელი არმიების უშუალო შემოტევით მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აგრესია, რის შედეგადაც საზღვარგარეთ იქნა განდევნილი საქართველოს კანონიერი მთავრობა. საქართველოს საბჭოთა მთავრობად გამოცხადდა საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის 21 თებერვლის დადგენილებით საქართველოს ხალხის მოღალატეებად შერაცხული პირები, რომლებმაც 1922 წლის 30 დეკემბერს საქართველოს ხალხის სახელით სეპარატული ხელშეკრულება დადეს კრემლთან საქართველოს სსრ კავშირის შემადგენლობაში შესვლის შესახებ.

ვინაიდან 1974 წელს სსრ კავშირმა თვითონ შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აგრესიის, როგორც საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობის გამომწვევი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე აქტის განსაზღვრა, და გაეროს დოკუმენტებში აღინიშნა, რომ აგრესიის შემდგომი ოკუპაცია და ანექსიაც ითვლება აგრესიად, საქართველოში სსრ კავშირის ჯარების ყოფნა უნდა ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ აგრესიად.

მომხდარი და მიმდინარე აგრესიის ობიექტად უნდა განისაზღვროს საქართველო, ხოლო აგრესიის სუბიექტად რუსეთი მისი ნებისმიერი სახელმწიფოებრივი ფორმით.

1921 აგრესიას და მის შემდგომ 70-წლიან გაგრძელებას მოჰყვა საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური უფლებების მაქსიმალური უზურპაცია და პოლიტიკური აზროვნების დაცემა. სსრ კავშირში შემოღებული იქნა ერთიანი საბჭოთა მოქალაქეობა და ერმა თანდათან დაჰკარგა როგორც სამართალსუბიექტობა ასევე თვითგამორკვეული ერის ძირითადი პოლიტიკური ნიშნები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სსრ კავშირმა, მიუხედავად თავისი აშკარა არასამართლებრივი ქმედებისა და აგრესიული პოლიტიკისა / 1939 წელს სსრ კავშირი გარიცხულ იქნა ერთა ლიგიდან ფინეთის მიმართ ჩადენილი აგრესიის გამო /, მოახერხა მთელი რიგი სამართლებრივ-პოლიტიკური მომენტების ფალსიფიცირება და საერთაშორისო სარბიელზე დამკვიდრდა, როგორც ფაქტობრივ- იურიდიული სახელმწიფო. ეს მან შესძლო დაპყრობილ ერთა სამართალსუბიექტობის მოსპობისა, ერთა თვითგამორკვევის ჩახშობითა და კოლაბორაციონიზმის გამოყენებით.

ქართველ ხალხს მართალია არასოდეს არ შეუწყვეტია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ვერ შესძლო სათანადო პოლიტიკური ხასიათის შენარჩუნება, რაც თუნდაც დღეს გამოიხატება ეროვნული მოძრაობის ნაწილის საბჭოურ არჩევნებში მონაწილეობით, სსრ კავშირის ნებაყოფლობითი მოქალაქეობით და სხვა მნიშვნელოვანი კოლაბორაციონისტული მომენტებით. ამავე დროს დიდია პროვოცირების მომენტი ეროვნული მოძრაობისა.

საქართველოში აუცილებელია თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი პროვოცირება განურჩევლად მისი ხასიათისა, რათა შენარჩუნდეს ელემენტალური სტაბილურობა და უზრუნველყოფილი იქნას სათანადო მშვიდობიანობა ერის თვითგამორკვევისა და სამართლებრივ პოლიტიკური ბრძოლისათვის.

თვითგამორკვევაში ჩვენ ვგულისხმობთ არა საბჭოთა მოქალაქეთა რეფერენდუმს საქართველოს სსრ კავშირიდან გამოყოფა - არ გამოყოფის თაობაზე, არამედ საქართველოს მოსახლეობის საბჭოთა კავშირის მოქალაქეობიდან მასობრივ გამოსვლასა და საქართველოს მოქალაქეთა ლიგაში გაერთიანებას, რაც დადასტურება იქნება მისი შეურიგებელი დამოკიდებულებისა საოკუპაციო რეჟიმისადმი. ჩვენი რწმენით ეს უზრუნველყოფს ჭეშმარიტად სამართლებრივ ბრძოლას /მშვიდობიან პირობებში/ და აგრესიის შედეგად კოლონიურ მდგომარეობაში ჩავარდნილ საქართველოს დეკოლონიზაციას, რაც გამოიხატება საერთაშორისო სამართლის წინაშე საქართველოს საკითხის დაყენებითა და მისი სათანადო გადაწყვეტით, რომლის შედეგადაც აღდგება ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ხოლო აგრესორი პასუხს აგებს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის, რისთვისაც მას შესაბამისად დაეკისრება რესტიტუცია და რეპარაციები.

აღნიშნული სამუშაოს ჩასატარებლად აუცილებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეიქმნას სამოქალაქო კომიტეტები, რომლებიც გაზრდიან ფორმა 1 შემვსებ პირთა რიცხვს და იკისრებენ მთელ რიგ სხვა ფუნქციებს. დამფუძნებელ კომიტეტთან უნდა შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო და დარგობრივი ტიპის სტრუქტურები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოქალაქეთა ლიგის შექმნა არ წარმოადგენს რაიმე ახალი პოლიტიკური პარტიისა ან საზოგადოების წარმოშობას. საქართველოს მოქალაქეთა ლიგის წევრად გახდომის ერთადერთი წინაპირობას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაზე უარის თქმა/შესაბამისი ფორმის შევსებით/და საქართველოს მოქალაქეობის მოთხოვნა. ლიგაში შეიძლება გაერთიანდნენ სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წევრები, უპარტიო პირები, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა და საზოგადოებრივი მრწამსის მქონე ადამიანები.

ამგვარი სხვადასხვაობის მიუხედავად, ცხადია, ყველა ჩვენთაგანს საერთო აზრი გააჩნია საბჭოური მოქალაქეობის უარყოფასა და განმათავისუფლებელი მოძრაობის სამართლებრივ ხასიათზე. უამისოდ, თვით ჩვენი ლიგის არსებობას ეკარგება საფუძველი. ე.წ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეობაზე უარის თქმითა და საქართველოს მოქალაქეთა ლიგის დაფუძნებით იწყება ინდივიდუალური თვითგამორკვევისა და ქართველი ერის, საქართველოს იურიდიული თვითაღდგენის ძნელი, მაგრამ აუცილებელი პროცესი.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

---

## საქართველოს მოქალაქეთა ლიგის დამფუძნებელი კომიტეტის მიმართვა გაეროს გენერალური ასამბლეის მდივანს ბატონ ჰავიერ პერეს დე კუელიერს

საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მრავალი საუკუნე არსებობდა და ქართველი ერი მსოფლიო ხალხების ისტორიაში ჩამოყალიბდა, როგორც თავისუფალი ეთნოსი. ქართული სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი გამოვლინება იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც დე ფაქტოდ და დე იურედ ცნობდა მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო და ერთა ლიგა.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა უშუალო სამხედრო აგრესიის გზით დაიპყრო საქართველო, გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ადგილობრივი მარიონეტების მეშვეობით საქართველო შეიყვანა სსრ კავშირის შემადგენლობაში. ეს აქტი წარმოადგენს უმძიმეს დელიქტს და არა საქართველოს მოსახლეობის ნებას, ქართველ ერს არ შეეძლო თავისი ნებით უარი ეთქვა თავის ეროვნებაზე და ერის რეალურ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე. საბჭოთა რუსეთმა საქართველოს თავს მოახვია ერთიანი საბჭოთა მოქალაქეობა. საქართველოში ამჟამად მიმდინარეობს მშვიდობიანი, პოლიტიკურ - სამართლებრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

საქართველოში დაიწყო სსრ კავშირის მოქალაქეობის მასობრივი უარყოფა. დღეისათვის სსრ კავშირის მოქალაქეობაზე უარი განაცხადა 60 ათასმა ადამიანმა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე დავაარსეთ საქართველოს მოქალაქეთა ლიგა. ეს პროცესი სწრაფად მიმდინარეობს და მიუხედავად საბჭოთა რეჟიმის სისასტიკისა, სსრ კავშირის მოქალაქეობას უარყოფს სულ უფრო მეტი და მეტი ქართველი. ისინი მოითხოვენ საქართველოს მოქალაქეობას და ასეთი მოქალაქეობის შემოღებამდე თავს აცხადებენ მოქალაქეობის არმქონე პირებად.

საბჭოთა კანონმდებლობით ახალგაზრდები გაჰყავთ სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რაზეც წმინდა წყლის პოლიტიკური მოსაზრებებით საქართველოს მოქალაქეთა ლიგის წევრები უარს აცხადებენ, რადგან ამ არმიას მიიჩნევენ საქართველოს მაოკუპირებელად. უმორჩილესად გთხოვთ, აღმოგვიჩინოთ დახმარება და სსრკ მოქალაქეობის უარმყოფ ქართველ წვევამდელთა დევნისათვის საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დააკისროთ საოკუპაციო ხელისუფლებას, გთხოვთ მოახდინოთ მასზე დაწოლა, რათა მან თავის სამხედრო კომისარიატებსა და სამართლმსაჯულებო ორგანოებს ხელი ააღებინოს ამ ახალგაზრდათა მიმართ წარმოებულ დანაშაულებრივ დევნა - შევიწროებაზე.

ვსარგებლობთ რა შემთხვევით, გადმოგცემთ ქართველი მშობლების თხოვნას, - უშველოთ მათ შვილებს, რომლებიც სასტიკ ტანჯვა-წამებასა და პიროვნული ღირსების არნახულ შეურაცხყოფას განიცდიან, ვინაიდან საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საწინააღმდეგოდ და უხეში ძალდატანებით დღესაც იმყოფებიან მათი სამშობლოს დამპყრობელი საბჭოთა არმიის რიგებში.

ამასთან ერფად გაუწყებთ, რომ თვით საოკუპაციო რეჟიმის პირობებში ადგილობრივმა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც 1921-1922 წლების მოვლენები შეფასებული იქნა როგორც შეიარაღებული ინტერვენციის მეშვეობით რსფსრ - ს მიერ საქართველოს ოკუპაცია და შემდგომი უკანონო ანექსია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეგახსენებთ, რომ 1974 წელს თვით სსრ კავშირის წინადადების საფუძველზე 35 სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან შემდგარმა სპეციალურმა კომიტეტმა გაეროს გენერალურ ასამბლეას მოუმზადა ტექსტი, რომლის მიხედვითაც აგრესიის აქტად ჩაითვლება /მიუხედავად იმისა, ომი გამოცხადებულია თუ არა/ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მისი ოკუპაცია თუ ანექსია.

იმ დრომდე, სანამ საქართველოს საკითხი ოფიციალურად არ იქნება დასმული გაეროში, ვიმედოვნებთ, რომ თქვენი უშუალო ზემოქმედებით, ჩვენი, - სსრკ მოქალაქეობის უარმყოფ პირთა, - საქართველოს მოქალაქეთა ლიგის პრობლემები გაეროს შესაბამისი უწყებების მუდმივი ყურადღების, მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ იქნება აყვანილი.

ბატონო პერეს დე კუელიერ, თქვენი თანამდებობრივი ფუნქციებისა და პირადი თვისებების საფუძველზე გვჯერა, რომ გულისხმიერებით მოეკიდებით ჩვენს მიმართვას თქვენდამი და არ გადადებთ სათანადო ზომების მიღებას ჩვენი კანონიერი უფლებების დასაცავად. ამით თქვენ, ბატონო გენერალურო მდივანო, თქვენს შესაფერის ფრიად დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ სამართლიანობისა და მშვიდობიანობის კეთილშობილურ საქმეში. ზემოთ აღნიშნულ ქართველ ახალგაზრდათა დაცვით, დღევანდელი რთული და წინააღმდეგობრივი მსოფლიოს უაღრესად აფეთქებადსაშიშ კავკასიის რეგიონში, კაცობრიობას თავიდან აააცილებთ ახალი, მეტად სახიფათო მადესტაბილიზებელი ცეცხლოვანი კერის წარმოშობას. გვსურს კიდევ ერთხელ გამოვთქვათ იმედი, რომ თქვენი დაუყოვნებელი ჩარევა აღნიშნულ საკითხში, ბატონო ჰავიერ პერეს და კუელიერ, გახდება ადამიანურ ღირსებათა ხელშეუხებლობისა და მტკიცე მშვიდობიანობის საიმედო გარანტი.

---

საქართველოს სამხედრო კომისარს ლ. ფირცხალაიშვილს საქართველოს მოქალაქეთა ლიგის

**წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა**

მოგახსენებთ, რომ საქართველოს მოქალაქეთა ლიგა აწარმოებს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობის უარყოფისა და საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მასობრივ კამპანიას.

ამასთან ლიგა მოითხოვს, რომ იმ წვევამდელთა გამოძახება საბჭოთა არმიაში სამსახუროდ, რომლებმაც უარი განაცხადეს სსრ კავშირის მოქალაქეობაზე დაუყოვნებლივ შეწყდეს.

წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეთა ლიგა მიმართავს პროტესტის უკიდურეს ზომებს.

საქართველოს მოქალაქეთა ლიგის დამფუძნებელი კომიტეტი

---

## ОБРАЩЕНИЕ

**Лиги Граждан Грузии к Президенту СССР, Президиуму Верховного Совета СССР, Совету Министров СССР, Комитету Госбезопасности, Министерствам Обороны, Внутренних дел и прочим министерствам и ведомствам:**

Как известно, 26 мая 1918 года народ Грузии реализуя свою политическую волю соответственно международному праву восстановил свою государственную независимость в виде демократической республики, которая была признана де факто и де юре многими государствами мира и Лигой Нации.

Независимость Грузинского государства и ее границы были признаны 7 мая 1920 года Российской Советской Федеративной Социалистической Республикой.

В феврале-марте 1921 года РСФСР вероломно нарушила известный договор от 7 мая 1920 года между ею и Грузией, грубейшим образом поправ международное право, части РККА вторглись в пределы независимого грузинского государства. Агрессия совершонная Советской Россией привела к оккупации территории, к насильственному свержению законной власти, к насаждению марионеточной администрации, которая вопреки воле Народа Грузии в 1922 году по болшевистски оформила аннексию. Этот тяжелейший деликт, даже в условиях оккупационного режима, был признан вооруженной интервенцией, оккупацией и аннексией самым так называемым Верховным Советом ГССР в своем постоновлении от 9 марта 1990 года.

Ввиду того, что 1974 году на основе предложения самого Советского Союза, специальный комитет из представителей 35 государств подготовил Генеральнйй Ассамблее ООН текст по которому актом агресии /независимо от того объявлена ли война/ считается: вторжение вооруженных сил или нападение на територию другого государства и ее оккупация или аннексия - настоящее положение может рассматриватся продолжением агрессии. Объектом агрессии является Грузия, а субъэктом агрессии государство политическими руководителями которого вы являетесь. Таким образом, вы несете непосредственную ответственность за продолжение агрессии и все вытекающие из этого противоправные деяния.

К вашему сведению, в настоящее время, в Грузии усиливается мирное политико-правовое, национально-освободительное движение. В Грузии начался процесс массового отказа от гражданства СССР, который продлится до достижения полной государственной независимости. Уже более 60 тысяч человек /независимо от их этнического происхождения/ отказались от советского гражданства, основана Лига Граждан Грузии, которая также будет существовать до восстоновления грузинской государственности. Таким образом, все больше жителей Грузии отказываются от гражданства захватчика, требуют гражданство Грузии и до его введения объявляют себя лицами без гражданства. Из той-же позиции „призивники" отказываются от службы в оккупационной Советской Армии.

Ввиду того, что согласно международного права /соответствующие Гаагская и Женевская конвенции и протоколы/ оккупационная сторона не может применять коллективные репрессии против местного населения, требовать от него присяги на верность, использовать его в военных целях и т. д., нарушение оккупационного режима влечет политическую, материальную и моральную ответственность государства-оккупанта, а для лиц физически виновных в этом - уголовную ответственность. В первую очередь все это применительно в случае преследования лиц отказавшихся от гражданства Советского Союза.

Применяемая практика преследований со стороны подчиненных вам соответствующих министерств и ведомств /Мин. обороны, МВД, КГБ, Мин. Юстиции, Прокуратура СССР и соответствующие республиканские структуры/ должна квалифицироватся как преступление против мира, военное преступление и преступление против человечности. Она чревата тяжелейшими для всех последствиями, возникновением беспрецедентного очага напряженности, который будет расширятся и усиливатся по мере распространения карательных мер на мирное население, приведет к полной дестабилизации и возможно к продолжительным кровавым конфликтам. Если вы не сможете обуздать подчиненные вам соответствующие органы, вся ответственность за наитягчейшие последствия лягут на вас и в целом на СССР как правоответственного субъекта.

Учредительный Комитет Лиги Граждан Грузии

# მოგვტაცეს კონსტიტუცია

საქართველოში წამოწყებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საბჭოთა ხელისუფლება დიდი ხანია შეაშფოთა. რეპრესიებმა და ძალადობამ ხალხი უფრო აამხედრა. მთავრობამ ძალადობით რომ ვერ დააშინა ხალხი, თავი მოიკატუნა და ისეთი პოზიცია დაიჭირა, თითქოს თვითონაც საქართველოს თავისუფლებისათვის იბრძვის. სინამდვილეში კი ისევ ყველაფერს აკეთებს იმისათვის რომ ეროვნული მოძრაობა მოაღმოს ან გადააგვაროს. თითქოს უკვე საჯაროობა მაგრამ მთავრობა თავის არქივებში და საიდუმლო საცავებში მალავს როგორც დამოუკიდებელ საქართველოში დაბეჭდილ ჟურნალ-გაზეთებს, ასევე ეროვნული მოძრაობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე დოკუმენტებს.

ჩვენ უკვე დიდი ხანია ვეძებთ საქართველოს (1921 წ) კონსტიტუციას. ვეძებთ და ვერ მივაკვლიეთ თუმცა მრავალი გარემოებიდან გამომდინარე ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს კონსტიტუცია ხელისუფლებას გააჩნია და ისე მალავს, როგორც თავის დასაკლავ დანას. ასევე ვერ მივაკვლიეთ ჩვენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი პასპორტის ვერცერთ ეგზემპლარს.

ამჯერად ვბეჭდავთ საქართველოს კონსტიტუციის 1920 წ ივნისის პროექტს. ეს ეგზემპლარიც სუკმა გაიტაცა. ავტომობილი, რომელიც რამდენიმე წუთით დავტოვეთ და რომელშიც გამგზავრების წინ სხვა დოკუმენტებთან და ინვენტართან ერთად კონსტიტუციის პროექტიც გვედო, მოულოდნელად გაქრა. მეორე დღეს ეს მანქანა აღმოჩნდა 70 მეტრის სიღრმის ხრამში, ხოლო კონსტიტუციის პროექტი კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

საბედნიეროდ ჩვენ რამდენიმე დღის წინ მოვიძიეთ ამ პროექტის ერთ-ერთი ქსეროკოპია. ეს კოპია აღსანიშნავია იმით, რომ იგი ეკუთვნოდა დამფუძნებელი კრების წევრ ივანე გომართელს და მასში გაკეთებულია მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნები. როგორც ირკვევა კონსტიტუციის დამტკიცების დროს ივანე გომართელს ეს ბროშურა თან ჰქონდა და აღნიშნა ის შესწორებები, რომლებიც საბოლოო ტექსტში შეიტანეს. ამგვარად ჩვენს ხელთ არის უკვე დამტკიცებული კონსტიტუცია, რომელსაც უახლოეს მომავალში გამოვაქვეყნებთ. მანამდის კი თავისუფლად შეიძლება დაბეჭდილი პროექტით ხელმძღვანელობა, რადგან იგი უმნიშვნელოდ განსხვავდება საბოლოო ტექსტისგან. მნიშვნელოვან შესწორებებს კი აქვე გაგაცნობთ.

კონსტიტუციიდან ამოღებულია მეორე მუხლი საქართველოს ნეიტრალობის შესახებ.

ამის გამო მუხლი 5 დანომრილია უკვე მეთხე ნომრად და მისი მეორე აბზაცი "საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის-მღევამოსილი გიორგი თეთრ რაშზე მჯდომარე." შეცვლილია ამგვარად-" საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით."

ამოღებულია მეშვიდე და მეცამეტე მუხლები.

მერვიდმეტე მუხლი კი "საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლიან იყოს იმავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქედ" შესწორებულია ამგვარად: " საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლიან იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ." შესაბამისად მერვიდმეტე მუხლის ნომერაცია შეცვლილია მეცამეტედ.

აქვე განმეორებით ვბეჭდავთ 1921 წლის 23 თებერვლის გაზეთ "ერთობაში" გამობეჭდილ სტატიას საქართველოს კონსტიტუციის მიღების შესახებ.

## კონსტიტუციის დამთავრება

ომის ალში გახვეული საქართველოს უზენაესი დაწესებულება დამფუძნებელი კრება იშვიათი სიმტკიცით და შეურყევლობით განაგრძობს თავის საშვილიშვილო საქმეს – საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებას. ორი წლის განმავლობაში წარმოებდა ეს მუშაობა. ყოველი დებულება, ყოველი სიტყვა პროექტისა აწონდაწონილი და ყოველმხრივ განხილული იყო ჯერ საკონსტიტუციო კომისიაში, შემდეგ პრესაში, პარტიულ ყრილობებზე და კონფერენციებზე და სხვა პარტიულ დაწესებულებებში. ეს მესამე თვეა, რაც დამფუძნებელი კრების პლენუმი შეუდგა პროექტის განხილვას. მან უკვე მოათავა პროექტის საბოლოო განხილვა, იმ მთავარი პრინციპების შეფასება, რომელზეც უნდა აშენებულიყო ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი შენობა. მოთავებული იყო აგრეთვე პროექტის თვისობრივი განხილვაც, რომლითაც დამფუძნებელ კრებას კონსტიტუციის თვითოეული ნაწილი უნდა შეეთანხმებინა მთლიანობისათვის. უკვე დაწყებული იყო „მესამე წაკითხვაც", მუხლობრივი განხილვაც კონსტიტუციის პროექტისა, როდესაც მოგვისწრო „წითელი ურდოების" შემოსევამ, თბილისის ალყაშემორტყმამ და თბილისის დაცვისათვის ბრძოლამ. ზარბაზნების დანდგარში და ტყვიის ზუზუნში მოუხდა დამფუძნებელ კრებას საშვილიშვილო საქმის დამთავრება. სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მას ერთ ხელში ეჭირა ხმალი, რომლითაც მტერს იგერიებდა, მეორე ხელში კალამი, რომლითაც იგი სახელმწიფოს უქმნიდა ძირითად კანონებს. მრავალი მისი წევრი ბრძოლის ველიდან ბრუნდებოდა კონსტიტუციის შედგენაში მონაწილეობის მისაღებად, ზოგს მათგანს ვერ მოესწრო სახეზე მოეწმინდა თოფ-ზარბაზნის მჭვარტლი, ზოგს ბრძოლის ველზე დაშავებულს, სისხლის მობანაც კი ვერ მოესწრო და მიუხედავად ამისთანა პირობებისა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პირობებს სრულიად ვერ უნდა შეექმნათ შესაფერისი სულიერი ჭანწყობილება კონსტიტუციის განხილვისათვის, ისტორიული პასუხისმგებლობის შეგნებით გამსჭვალულმა დამფუძნებელმა კრებამ თავის ისტორიული დანიშნულების შესასრულებლად, თავისი მუშაობის დასაგვირგვინებლად დაამთავრა კონსტიტუცია. დღეს საქართველოს აქვს თავისი კონსტიტუცია, თავისი პოლიტიკური სახე, რომლითაც იგი თამამად და ამაყად წარსდგება მსოფლიოს წინაშე.

### საქართველოს კონსტიტუცია

21 თებერვლის საღამოს სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ დაამთავრა კონსტიტუციის განხილვა და საბოლოოდ მიიღო ის.

გაზეთი „ერთობა" 1921 წლის
23 თებერვალი.

## ნაპოვნია!

ნომერი უკვე აწყობილი გვქონდა, როცა ჩვენმა მეგობარმა მოგვაწოდა დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის ქსერო ასლი. მას ატყვია ცეკას რუსული ბეჭედი. "მთავრობა", როგორც ვფიქრობდით, დღესაც ცხრა კლიტულში მალავს საქართველოს კონსტიტუციას, მაგრამ ჯინი ამოვიდა ბოთლიდან.

ქართველი ერის ამ უდიდეს ძეგლსა და თავისუფლების გასაღებს დაუყოვნებლივ დავბეჭდავთ და მოგაწვდით. იგი უნდა მიიღოს ყველა ქართველმა მოწაფემაც.

საბოლოო ტექსტი ემთხვევა გომართელის შესწორებებს და მოიცავს 149 მუხლს.

# ერს გააერთიანებს კონსტიტუცია

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი სენი გათიშულობაა. ამ მიზეზის გამო ხალხს გული აქვს გატეხილი და საქართველოში ჯერ ვერ ტარდება ისეთი ხალხმრავალი აქციები, როგორიც ბალტიისპირეთში, აზერბაიჯანში ან სომხეთში. საქართველოში საპროტესტო აქციებში არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა ასი ათას კაცზე მეტს სხვაგან კი მრავალჯერ ჩატარდა მილიონიანი მიტინგები.

ჩვენი აქციები უფრო რადიკალურია და საქართველოს ეროვნული მოძრაობა მაინც მოწინავეა საბჭოთა კავშირში, მაგრამ ეროვნული ერთიანობის პრობლემის გადაჭრა ნამდვილად დაგვაახლოვებდა მიზანთან.

ეს პრობლემა კარგად გადაჭრეს ლიტველებმა. იქაც ერთმანეთთან დაპირისპირებული იყვნენ შედარებით ლოიალური და რადიკალური ძალები. კერძოდ საიუდისს ექიშპებოდა ლიტვის თავისუფლების ლიგა. ორივეს კი ებრძოდა კომპარტია. კომუნისტური პარტიის ლიდერი ბრაზაუსკასი აშკარად გამარჯვებას მოიპოვებდა როგორც საიუდისზე ასევე ლიტვის თავისუფლების ლიგაზე, ლიგის ლიდერს ანტანას ტერლიაცკესს ყველათვის მოულოდნელად საიუდისის კანდიდატ ლანსბერგისისათვის რომ არ დაეჭირა მხარი. ამან გამოიწვია ლიტველთა კონსოლიდაცია და მათ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს.

უარეს შემთხვევაში ქართველებმაც შეიძლება მათ მივბაძოთ და მხარი დაუჭიროთ "პარლამენტური" ბრძოლის გზას, რათა თავი დავაღწიოთ ეროვნულ გათიშულობას, რომელსაც ეროვნული მოძრაობა აშკარად ჩიხში შეჰყავს. ამ კომპრომისით ჩვენ ავცდებით თავისუფლების პირდაპირ გზას, მაგრამ ერს გავაერთიანებთ მომავალი ბრძოლისათვის.

ეს უარეს შემთხვევაში, მაგრამ არის უკეთესი გამოსავალიც. რადიკალურმა ოპოზიციამ უნდა წარმოაჩინოს ისეთი პლატფორმა, რომელიც ყველა ძალებს გააერთიანებს. აქამდე ასეთი პლატფორმა არცერთ ორგანიზაციას არ შეუთავაზებია ხალხისათვის. ეროვნული ერთიანობის ყველაზე ეფექტური ილუზია შექმნა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტისა და ეროვნული ფორუმის წარმოქმნამ. სამწუხაროდ ეს მხოლოდ ილუზია იყო და ამ ფორმებით ეროვნულ მოძრაობას გაერთიანება არ ეწერა.

მართალია საქართველოში რადიკალური ოპოზიციისათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა სახალხო ფრონტის და მისი მსგავსი სხვა ორგანიზაციების დამარცხება, მაგრამ რადიკალებმაც ვერ შესძლეს ეროვნული მოძრაობის სრული მობილიზება. ხალხი ტაშის გრიალით ხვდება ავტორიტეტული რადიკალების მხრიდან სახალხო ფრონტის პოზიციების გაქიაქებას, მაგრამ მთლიანად არც რადიკალებს მისდევს. ამას კი ორი ძირითადი მიზეზი აქვს. ჯერ ერთი თვად ეს რადიკალური ოპოზიციაა გაყოფილი ურთიერთდაპირისპირებულ ორ ან სამ ბანაკად. გარდა ამისა ვერც რადიკალებმა წარმოაჩინეს ისეთი პოზიცია, რომელიც მათაც გააერთიანებდა და ხალხსაც ერთად გაიყოლებდა.

ამჟამადაც რადიკალები ორ ძირითად ბანაკად არიან გაყოფილი. ეროვნული ფორუმიდან ზვიად გამსახურდიას გასვლის შემდეგ მასთან გაერთიანდნენ მნიშვნელოვანი ძალები და მისივე ინიციატივით ფორუმისაგან განცალკევებით მოწვეულია "მრგვალი მაგიდა"; ჰელსინკის კავშირის, წმ. ილია მართლის საზოგადოების, მერაბ კოსტავას საზოგადოების მონარქისტული პარტიისა და სათათბირო ხმის უფლების მქონე რამდენიმე პირის შემადგენლობით. თუ რა პოზიციას დაიჭერენ ისინი, ამისი თქმა ჯერ ძნელია, მაგრამ ის კი ცხადია რომ მათი პოზიციები მნიშვნელოვნად განსხვავდება ეროვნული ფორუმის პოზიციებისაგან.

ამ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი პროგნოზის გაკეთება შეიძლება. ეროვნული ფორუმი, რომელიც ალტერნატიული არჩევნების აზრით არის გაერთიანებული, შესუსტდა და ეს კარგს არაფერს მოუტანს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ალტერნატიული არჩევნების იდეის გარშემო მრავალი პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანება საკმაოდ დიდი დარტყმაა არსებული ხელისუფლებისათვის. ვერ ვიტყვით, რომ ფორუმმა ამჯერად ეს იდეა საუკეთესო ფორმით წარმოადგინა, მაგრამ ამ კონცეფციის საერთო პლატფორმად გატანას მრავალი პოლიტოლოგი ოცნებობდა.

მრგვალი მაგიდის ორგანიზაციები თავიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ ალტერნატიული არჩევნების იდეას. ამიტომ უნდა ჩავთვალოთ, რომ დასახელებულ მიზეზთა შორის, რითაც ის ინი ფორუმიდან გასვლას ახსნიან, მთავარი მაინც პოზიციური უთანხმოებაა.

პოლიტიკურ სხვა და სხვა ჯგუფებს ყოველთვის შეიძლება გაუჩნდეთ აზრთა სხვაობა, მაგრამ ეს ეროვნულ მოძრაობას ვერ გათიშავს თუ ერს ექნება ერთი ნათელი და გარკვეული მიზანი. ხალხი მაშინ ადვილად გაარკვევს მართალსა და მტყუანს. ეს საბოლოოდ აღმოფხვრავს ყოველგვარ გათიშულობასა და სეპარატიზმს.

აღნიშნულ შემთხვევაში პოზიციური უპირატესობა აშკარად ეროვნული ფორუმის მხარეზეა, მაგრამ ფორუმსაც იმდენი ნაკლი აღმოაჩნდა, რომ ხალხისათვის მაინც გაურკვეველი დარჩა, თუ ვის მიყვეს. აქ გვინდა აღვნიშნოთ ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონ-პროექტის ნაკლოვანებები და სანამ ეს ჯერ კიდევ პროექტია, იმედი გვაქვს რომ მისი შესწორებით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მიეცემა ისეთი გეზი, რომელშიც ვერცერთი პარტიზანი მხარე ეჭვს ვერ შეიტანს.

ალტერნატიული არჩევნების იდეა დიდი ხანია მწიფდებოდა ეროვნულ მოძრაობაში და ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონ-პროექტი ამ იდეის ერთ-ერთი საკმაოდ უხეირო ვარიანტია.

როდესაც ეროვნული მოძრაობა ფიქრობდა პრედპარლამენტის არჩევას, გაჩნდა შემდეგი დასახელებები: ეროვნული სათათბირო, ეროვნული კონგრესი, დე კოლონიზაციისა და თვით გამორკვევის აღმასრულებელი კომიტეტი და სხვა, მაგრამ უფრო უპრიანი იქნება თუ პრინციპულად იდენტური პრედპარლამენტების დასახელებებში არ ავიბნევთ თავგზას დავადგებით უკვე დადგენილ და დამტკიცებულ ეროვნულ ხაზს. კერძოდ საქართველოს კონსტიტუციით ასეთი პრედპარლამენტის დასახელებად განსაზღვრულია დამფუძნებელი კრება, რომელიც უფლებამოსილი იყო პარლამენტის არჩევამდე ეწარმოებინა ერის საქმეები. პარლამენტი კი აირჩეოდა სამი წლის ვადით და იკრიბებოდა ყოველი წლის ნოემბრის პირველ კვირას.

საარჩევნო კანონის ძირითადი ნაკლოვანებები მდგომარეობს იმაში, რომ იგი მთლიანად არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და რაც მთავარია ზოგჯერ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან.

კანონ-პროექტის დამტკიცების წესი არ არის იმდენად სრულყოფილი რომ საერთაშორისო სამართალმა ცნოს. გარდა ამისა საქართველოს საკითხებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ რეფერენდუმებში მონაწილეობის უფლება გააჩნიათ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს და არა "მკვიდრ" მოსახლეობას როგორც ეს არის განსაზღვრული ფორუმის მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტში. თუნდაც მკვიდრი მოსახლეობა, რომელმაც მიიღო სხვა ქვეყნის ანუ სსრ კავშირის მოქალაქეობა და დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა, ვერ წარმოაჩენს ისეთ იურიდიულ პირს რომელსაც უზენაესი საბჭოს წინაშე უპირატესობას მისცემს საერთაშორისო სამართალი. ამიტომ საჭიროა ფორუმი სასწრაფოდ შემოუერთდეს სსრ კავშირის მოქალაქეობისუარყოფისა და საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის კამპანიას. დამფუძნებელი კრების და ეროვნული პარლამენტის არჩევნების კანონი კი ან უნდა მოიძიებნოს ან არა და შემუშავდეს ცალკე კანონის სახით, როგორც ეს განსაზღვრულია კონსტიტუციით და დამტკიცებულ უნდა იქნას საქართველოს მოქალაქეთა რეფერენდუმზე. ამით ჩვენ დავიბრუნებთ იმ პოლიტიკურ ძალებს რომლებიც ემხრობიან "კონსტიტუციური და პარლამენტური" ბრძოლის გზას, რადგან დამპყრობლის კანონი პარლამენტარიზმად და კონსტიტუციად მიაჩნიათ. ასევე გავაერთიანებთ რადიკალურ მოძრაობასაც რადგან ის ვინც წინ აღუდგება საქართველოს კონსტიტუციას ან საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის საკითხს თავად აღმოჩნდება ოკუპანტის როლში.

საქართველოში დღის არ არის ავტორიტეტი რომელიც გააერთიანებს მთელს ერს, მაგრამ არსებობს ეროვნული კონსტიტუცია რომელიც ყველა ქართველმა უნდა დაიცვას.

# სიკვდილით დასჯა გაუქმებულია

დღეს, ისე როგორც არასოდეს, აქტუალურია კაცობრიობისათვის ისეთი მტკივნეული და საჭირბოროტო საკითხი, როგორიცაა სიკვდილით დასჯის გაუქმება. მსოფლიოს ისეთი უდიდესი და წამყვანი სახელმწიფოები, როგორიცაა საფრანგეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მხოლოდ რამდენიმე წლის წინ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო სიკვდილით დასჯის გაუქმება. თვით ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ შტატშიც კი შემორჩენილი არის ეს წესი.

რა თქმა უნდა ამ პრობლემის გადაწყვეტის პირველი მომხრე და მებრძოლია მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც დიდი ხანია იბრძვის სიკვდილით დასჯის გაუქმებისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოს გაზეთი „მადლის" 29 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის წერილი მიხეილ გორბაჩოვისადმი.

„მინდა შევეხო ერთ საკითხს, – ნათქვამია წერილში – რომელიც, უეჭველია თქვენც გაღელვებთ: საქმეეხება ჩვენს სახელმწიფოში სიკვდილით დასჯის წესს. ადამიანის მოკვლა მიუხედავად იმისა დამნაშავეა იგი თუ არა, არის უდიდესი ცოდვა და უმძიმესი დანაშაული ღვთის წინაშე. ათი მცნებათაგან ერთ-ერთია; „არა კაც ჰკლა" /გამოსვლ. 20. 13./

მცნებაში არ წერია არ მოკლა უდანაშაულო, არამედ ნათქვამია: „არა კაც ჰკლა".

როცა კაენმა მოკლა თავისი ძმა აბელი, კაენმა გაიგონა ხმა უფლისა: ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს: ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან. რომელმაც გახსნა პირი, რათა მიელო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან. /დაბადება 4, 10-11/. მიუხედავად ამ მკაცრი გაფრთხილებისა, მკვლელობა კვლავ გრძელდება და რიცხვიც მისი სულ უფრო იზრდება.

უეჭველია, სიკვდილით დასჯის კანონი შემოტანილ იქნა იმ მიზნით, რომ როგორმე გზა გადაელობათ მკვლელობათა და მძიმე დანაშაულობათათვის, მაგრამ ცხოვრება გვიჩვენებს რომ სიკვდილით დასჯის წესის შემოღებამ ეს პრობლემა ვერ გადაწყვიტა; დანაშაული სულ უფრო მატულობს.

IV საუკუნის ცნობილმა მოძღვარმა, წმინდა ბასილ კაბადონელმა თქვა: „ბოროტებას ბოროტებით ვერ განკურნავ". ბოროტებას მხოლოდ სიკეთით, სიყვარულითა და მოწყალებით შეიძლება უწამლო.

ხშირად, როცამძიმე დანაშაულს ვხედავთ, განვიკითხავთ ვსჯით ბოროტმოქმედს, მაგრამ არ ვიძიებთ მიზეზს, რამაც ესა თუ ის ადამიანი აქამდე მიიყვანა; არ ვიძიებთ როგორი იყო მისი ბავშვობა, როგორ წარიმართა მისი ცხოვრება.

დიდად პატივცემულო მიხეილ სერგის ძევ!

მოგმართავთ თქვენ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, წმინდა სინოდისა და მილიონობით მორწმუნეთა სახელით: დაე, თქვენი მსხვერპლადშეწირული და თავდადებული მსახურება პრეზიდენტის მაღალ თანამდებობაზე აღინიშნოს ჩვენს ქვეყანაში სიკვდილით დასჯის გაუქმებით."

მიუხედავად იმისა, რომ წერილის არსი სრულიად არ ესადაგება პირსისხლიან ადრესატს, იგი მეტყველებს იმაზე თუ როგორი მონდომებულია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, რომ საქართველოში აღკვეთილი იქნეს ამ უმძიმესი ცოდვის დაკანონება, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ ამ საკითხში არჩევანი გაცილებით ადრე გააკეთა, ვიდრე ბევრმა სხვა ქვეყანამ. 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებული საქართველოს კონსტიტუციის 19 მუხლით საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმებული და აკრძალულია. ეს კონსტიტუცია დღესაც ძალაშია და იძლევა საუკეთესო საშუალებას, რომ მთელი ეროვნული ძალები შეკავშირდნენ ამ კონსტიტუციის ირგვლივ.

# დავფიქრდეთ...

70 წლიანმა ბოლშევიკურმა ოკუპაციამ მიწასთან გაასწორა ქართველი ერის თვითშეგნება. სამიოდე წლის წინათ ათასიდან ერთმა ქართველმა თუ იცოდა, რომ საქართველოს ჰქონდა ეროვნული დროშა, ღერბი, ჰიმნი, დღესაც ძალმოსილი კონსტიტუცია და ეროვნული თავისუფლების ზეიმის დღე-26 მაისი.

ყოველივე ეს საქართველოს მოსახლეობისათვის მეტნაკლებად ცნობილი და გულში მოსახვედრი გახდა, მაგრამ ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებამდე ჯერ შორს ვართ.

როგორც გაირკვა სოციალისტური მონობის ჰურში ჩამჯდრებს საქართველოს მოქალაქეობაც დაგვიკარგავს, რუსეთის მოქალაქეობა მიგვიღია და მალე სირცხვილით ვეღარ გამოვყოფთ თავს ჩვენი შვილების წინაშე. ყიზილბაში ან რუსი დედ-მამა ბაბუა-ბებია განა მოეწონებათ ამ ჩვენ შვილებს და შვილიშვილებს

ან 26 მაისის ზეიმი და შინდისფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა განა ისეთი ხელწამოსაკრავია, რომ ყველას მიუწვდებოდეს მასზე ხელი? საქართველოს შინდისფერი დროშა საქართველოს მოქალაქეებმა უნდა აფრიალონ. საბჭოთა მოქალაქეებმა კი 7 ნოემბერი უნდა იზეიმონ და წითელი დროშა აფრიალონ ნამგალითა და უროთი. მაგრამ თუ იმდენად გავიღვიძეთ რომ ესენი გვერცხვინება მაშინ უნდა ამოვიდეთ სოციალისტური გონების მონობის ჰურიდან. სასწრაფოდ უნდა უარვყოთ სსრ კავშირის მოქალაქეობა, ერთპარტიული თუ მრავალპარტიული საბჭოთა არჩევნები, საბჭოური კონსტიტუციები და მივყვეთ ერის ნამდვილ უზენაეს კანონს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას.

აი გზა, რომელიც გააერთიანებს ერს და მიგვიყვანს საქართველოს თავისუფლებისა და გადარჩენის ტაძართან!

კონსტიტუციის დამტკიცებული ტექსტის უქონლობის გამო, გაზეთში მოყვანილ წერილებსა და დოკუმენტებში მუხლები მითითებულია კონსტიტუციის პროექტის შესაბამისად.

თანამემამულენო! საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა და ამ კამპანიის წარმოება საჭიროებს მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯებს. საქართველოს მოქალაქეთა ლიგა დანახარჯებს ფარავს ჩვენი პრესის შემოსავლით და კერძო შენაწირებით. რა თქმა უნდა ისეთი ანტისაბჭოური საქმიანობა როგორიც საქართველოს მოქალაქეთა ლიგის მოღვაწეობაა არ დაფინანსდება საბჭოთა ხელისუფლების მიერ და შესაბამისად არც ბანკშია გახსნილი ლიგის ანგარიში. ამიტომ ამ კამპანიის წარმატება დიდადაა დამოკიდებული კერძო შენაწირებზე. ამისათვის ლიგას გააჩნია ეროვნული დამოუკიდებლობის ფონდი და შესაბამისი შენაწირების ბლანკი.

შენაწირის შემოტანა შეიძლება, როგორც ღიად ასევე ინკოგნიტოდ. შენაწირებს აგროვებენ საქართველოს მოქალაქეთა ლიგის რწმუნებულები, რომლებიც მკაცრად აღრიცხავენ შენაწირებს სპეციალურ ჟურნალში და შემომწირავზე გასცემენ სპეციალურ ბლანკს. ბლანკებს ავსებენ ლიგის რწმუნებულები, მაგრამ შემომწირავს შეუძლია თავისი გვარი და სახელი ბლანკზე შეასოს მაშინ როცა ამას მიზანშეწონილად ჩათვლის. შენაწირის ბლანკი ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხელმოწერილია ლიგის რწმუნებულისაგან, დამოწმებულია საქართველოს მოქალაქეთა ლიგის ბეჭედით და დამფუძნებელი კომიტეტის თავმჯდომარის ხელმოწერით. შემომწირავს შეუძლია ლიგაში გააკონტროლოს მოვიდა თუ არა ესა და ეს შენაწირი.


ერი რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის, მოიპოვებს თავისუფლებას!

საქართველოს მოქალაქეთა ლიგა
ეროვნული დამოუკიდებლობის ფონდი

შ ე ნ ა წ ი რ ი

სერია ______ № ______

სახელი ______ გვარი ______

ფონდს შესწირა ______

ფონდი მოხმარდება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ სამართლებრივ ბრძოლას

ლიგის რწმუნებული ______

საქართველოს მოქალაქეთა ლიგის დამფუძნებელი კომიტეტის თავმჯდომარე: ______

ბეჭდის ადგილი

ნომერი მოამზადეს: ვაჟა მთავრიშვილმა, ალექსანდრე ჩიტაძემ, ნუგზარ კვახაძემ, მამუკა ჯორბენაძემ და ბესიკ ლაშქარაშვილმა.
რედაქციის მისამართია: თბილისი 380 007 დადიანის ქუჩა №4, საქართველოს მოქალაქეთა ლიგა, „საქართველოს თავისუფლება".
ტელეფონები: 98-31-70, 98-31-68, 98-31-65.